გაზეთი გამოდის
1930 წლის 5
ნოემბრიდან

samtrediismacne @ mail.ru

სამტრედიის მაცნე

N27 (9171) 30 სექტემბერი. 2015 წელი ფასი 50 თეთრი

სოფლები მაქსიმალურ კონტროლზეა აყვანილი

2

ოპოზიციამ ბიუჯეტში ცვლილებას მხარი არ დაუჭირა

"რესპუბლიკელობა" ნიშნავს თავისუფლებას 4

5 [illegible]

1 ოქტომბერი მოხუცთა საერთაშორისო დღეა!

რას გვაძლევს სკოლა? 8

სამშობლო სხვაგვარი მონატრებაა

6



სოფელმა თავისი სალოცავი დაიბრუნა

სოფლები მაქსიმალურ კონტროლზეა აყვანილი

ნინო ნანიტაშვილი

28 სექტემბრის ტრადიციული თათბირი განსხვავებული ფორმატითა და შემადგენლობით ჩატარდა. მუნიციპალიტეტის გამგებელმა მოისურვა, ორშაბათის თავყრილობას ტერიტორიული ერთეულებიდან წარმომადგენლებთან ერთად ყველა სპეციალისტი დასწრებოდა. ამდენად, მათ დასატევად სკამები არ აღმოაჩნდა საკმარისი.

მისალმებისა და დაგვიანების გამო ზოგ-ზოგიერთების მისამართით ნათქვამი საყვედურის შემდეგ ვალერიანე ფოცხვერიამ შეხვედრის მონაწილეებს თათბირზე განსახილველი საკითხები წარმოუდგინა. მოგვიანებით სიტყვა მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურის სამსახურის მთავარ სპეციალისტს, ავთანდილ ნაცვლიშვილს გადასცა: "მინდა, ინფორმაციები მოვისმინო სოფლის მხარდასაჭერი პროგრამისა და რეგიონული განვითარების ფონდის ფარგლებში შესასრულებელი პროექტების მიმდინარეობაზე. და აქვე, რა სურათი გვაქვს სტიქიის შედეგად დაზიანებული ობიექტების სალიკვიდაციო კუთხით გაწეული საქმიანობის შესახებ".

ავთანდილ ნაცვლიშვილი მუნიციპალიტეტის გამგებლისა და სოფლების წარმომადგენელთა წინაშე ვრცელი ანალიზით გამოვიდა. ინფრასტრუქტურის სამსახურის მთავარმა სპეციალისტმა თავდაპირველად სოფლების მხარდაჭერის პროგრამით განსახორციელებელი სამუშაოების შესრულების საერთო მდგომარეობა მიმოიხილა. ავთანდილ ნაცვლიშვილის თქმით, სოფლებში: დიდ ჯიხაიშში, გორმაღალში, იანეთში, ეწერში, ბაშში, ღანირში, მელაურში, გამოჩინებულში მთლიანად დამთავრებულია სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი ობიექტების მშენებლობა. გამგებელი დაინტერესდა ცალკეული სოფლების წარმომადგენლების შეფასებებით, თუ რა ხარისხით შესრულდა მათ სამოქმედო ტერიტორიაზე სამშენებლო სამუშაოები. თითქმის ყველა წარმომადგენელმა ერთი და იგივე თქვა, რომ ობიექტები ხარისხიანად არის შესრულებული.

ავთანდილ ნაცვლიშვილის ინფორმაციით, სამტრედიის მუნიციპალიტეტის დანარჩენ სოფლებში დარჩენილ სამუშაოებს მიმდინარე წლის 15 ნოემბრამდე ჩაიბარებს.

ანალოგიური სიტუაციაა რეგიონალური განვითარების ფონდის მიერ დაფინანსებული ობიექტების მშენებლობის საკითხებშიც. შესრულებულია ასფალტბეტონით გზების მოპირკეთების სამუშაოები. დამთავრებულია მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის რეაბილიტაცია. მიმდინარეობს დაბა კულაშის მუსიკალური სკოლის შენობის რეაბილიტაცია და ასევე 15 ოქტომბრისთვის ჩაბარდება ქალაქში არსებული საბავშვო ბაღების სარეაბილიტაციო სამუშაოები, რემონტდება ქალაქში მუსიკალური სკოლა, ეროსი მანჯგალაძის სახელობის კულტურის ცენტრი და სათნოების სახლი.

მიმდინარე წლის ნოემბრის ბოლომდე დამთავრდება მაღალმთიანი სოფლების წყალმომარაგების პროექტი, სტიქიის სალიკვიდაციო სამუშაოებისათვის გამოყოფილი თანხებით ნოემბრის ბოლომდე წყალანირებისა და სანაღვრე არხები მოწესრიგდება. აღნიშნულ სამუშაოებში შედის მდინარეების, ჭურთავასა და ოჭოფას კალაპოტების გაწმენდა. ტოლების თემის სოფელ ნოღაში მდინარე ხევისწყალაზე არსებული საავტომობილო ხიდის ბურჯის, მოაჯირებისა და ლითონის კონსტრუქციების რეაბილიტაცია. გომის თემში სოფელ კორმაღალში, ე. წ. ნადირაძეების უბანში ჯებირების მოწყობა და გზის მოხრეშვის, მდინარე კაპიტონას ნაპირზე გაბიონის ყუთების საყრდენი კედლის მოწყობის და მდინარის კალაპოტის გაწმენდის სოფელ ტოლებში ხიდისა და სწრაფსადენი არხის მოწყობის სამუშაოები.

ასევე ადგილობრივი ბიუჯეტით მოხდება სამტრედიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული მრავალსართულიანი სახლების სახურავების მოწყობის სამუშაოები. სულ 5 სახლზე. ასევე მიმდინარეობს ქალაქის ტერიტორიაზე ცენტრალურ ქუჩებში ინფრასტრუქტურის მოწესრიგების, კერძოდ, საგზაო ნიშნებისა და ბარიერების მოწყობა."

"გამოცხადებული ტენდერებიდან ყველა ტენდერზე მიმდინარეობს სამუშაოები. დარჩა 2 ტენდერი: მდინარეების გაწმენდის და ტოლები-ბუღნარას დამაკავშირებელი ხიდის მშენებლობაზე. გამარჯვებულები გამოვლენილია ორივე ტენდერში და სავარაუდოდ, ოქტომბრის შუა რიცხვებში გაფორმდება ხელშეკრულებები". _ ეს ინფორმაცია თათბირს ირაკლი სულავამ მოახსენა. ორშაბათის ტრადიციულ თათბირზე ვალერიანე ფოცხვერია სოციალურად დაუცველთა პრობლემებსაც შეეხო. მუნიციპალიტეტის გამგებლის შეფასებით, სააგენტო სათანადოდ ვერ მუშაობს და შესაბამისად, მათ საქმიანობაში ხარვეზიც ბევრია: "ჩემი საკუთარი სოფლის მაგალითით შემიძლია, ვიმსჯელო: ეწერში დახმარება მოუხსნეს იმას, ვისაც ყველაზე მეტად უჭირდა. თბილისი სამტრედიას აბრალებს, სამტრედია _ თბილისს".

როგორც მოგვიანებით გაირკვა, ფოცხვერიას კონკრეტულ სფეროზე საუბარი შემთხვევით არ წამოუწყია. სოფლის ტერიტორიული ერთეულიდან წარმომადგენლების სრული დასწრებაც ამით იყო განპირობებული. მუნიციპალიტეტის გამგებელმა დედაქალაქიდან სააგენტოს წარმომადგენლების სამტრედიაში ჩამოსვლა დააანონსა. სოფლებიდან სპეციალისტებს კი მოსახლეობის შესახებ სრული ინფორმაციის ფლობა დაავალა: "იმ დღეს კონკრეტულ პიროვნებებზე რომ მოგთხოვონ ინფორმაცია, დაწვრილებით უნდა იცოდეთ, ვის რამდენი ქათამი და შინაური პირუტყვი ჰყავს, ამ კითხვაზე პასუხი უნდა გაგაჩნდეთ".

ვალერიანე ფოცხვერიამ სპეციალისტების გასაგონად კიდევ ერთი ამბავი გააჟღერა: "სოფლები მაქსიმალურ კონტროლზეა აყვანილი, სამუშაო საათებში მონიტორინგი ჩატარდება. მართალია, უმეტესად გარეთ გაქვთ სამუშაო, მაგრამ ერთი სპეციალისტი ადმინისტრაციულ შენობაში მიმსვლელს ადგილზე აუცილებლად უნდა დახვდეს".

თათბირზე მოსული ადამიანები რომ საგანგებოდ იყვნენ გამოწყობილები, მედიას შეუმჩნეველი არ დარჩენია. საგანგებოდ ჩაცმულ-დახურულ სპეციალისტებთან შეხვედრის ბოლოს გამგებელმა სამახსოვრო სურათი გადაიღო.

ოპოზიციამ ბიუჯეტში ცვლილებას მხარი არ დაუჭირა

მუნიციპალიტეტის საკრებულოს 24 სექტემბრის სხდომაზე ფრაქცია "ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" 5-ვე წევრმა 2015 წლის ბიუჯეტში ცვლილებას მხარი არ დაუჭირა. ამ ინიციატივითა და ვრცელი განცხადებით სხდომაზე მამუკა ბიბილეიშვილი გამოვიდა. ოპოზიციონერი დეპუტატის პროტესტის მიზეზი 182 300 ლარი აღმოჩნდა, რომელიც ადგილობრივმა ბიუჯეტმა ცენტრალურ ბიუჯეტს უკან უნდა დაუბრუნოს. ცნობისათვის, აღნიშნული თანხა ჯამია მიღებული ეკონომიის. კერძოდ, ქალაქ სამტრედიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წყალანირებისა და სანაღვრე არხების მოწესრიგება შემცირდა 60 900 ლარით, საბავშვო ბაღების რეაბილიტაცია _ 11 700 ლარით, ორი მუსიკალური სკოლის შენობის რეაბილიტაცია _ 55 900 ლარით, მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის რეაბილიტაცია-კეთილმოწყობა 30 400 ლარით, ქალაქ სამტრედიაში ცენტრალურ ქუჩაზე ინფრასტრუქტურის მოწესრიგება (ბარიერები, საგზაო ნიშნები) 23 400 ლარით.

მამუკა ბიბილეიშვილის თქმით, წარსულში არ ყოფილა პრეცედენტი იმისა, რომ ზემოაღნიშნული თანხები ცენტრალურ ბიუჯეტში დაბრუნებულიყო: "მახსოვს და პირადად ვარ მონაწილე იმისა, რომ მსგავსი ეკონომიიდან მიღებული თანხები გადანაწილდებოდა ხოლმე დამატებით ისევ იმ სამუშაოებზე, ან გამოიყენებოდა იგივე მუნიციპალიტეტში სხვა ინფრასტრუქტურულ პროექტებზე. ჩვენი ფრაქცია, კონკრეტულ ფაქტს, ორ ახსნას უკეთებს, ადგილობრივმა ხელისუფლებამ ან ვერ დაარწმუნა ცენტრალური ხელისუფლება, თანხა ადგილზე ყოფილიყო გამოყენებული, ან ცენტრალური ხელისუფლების კეთილი ნება არ არის, თანხის სამტრედიის მუნიციპალიტეტში დატოვებისა, გამომდინარე იქიდან, რომ ქვეყნის ბიუჯეტს აქვს სერიოზული კრიზისი. საკრებულოს უმრავლესობის არგუმენტს ვერ მივიღებთ, თითქოსდა, ეს თანხები მიემართება 2015 წლის 13 ივნისს თბილისში მომხდარი სტიქიის სალიკვიდაციო ღონისძიებების დასაფინანსებლად. 36 000 ლარით ასევე შემცირდა გაღმა ზონაში წყლის სისტემების რეაბილიტაციისათვის გამოყოფილი თანხა. მიზეზად ჩაშლილ ტენდერს ასახელებენ, რაც ასევე ჩვენგან ვერ იქნება მიღებული. რადგან წლის ბოლომდე საკმაო დროა, ახალი ტენდერი გამოცხადდეს და მოესწროს სამუშაოს ჩატარება. ამდენად, არ ვუჭერთ მხარს ბიუჯეტში ცვლილებას". მიუხედავად ოპოზიციის უარისა, საკრებულოს უმრავლესობამ სამტრედიის მუნიციპალიტეტში პროექტების განხორციელებისათვის გამოყოფილი თანხა 182 300 ლარით შემცირებას მხარი დაუჭირა.

ნინო ნანიტაშვილი

"ბორანმა სულზე მოგვისწრო..."

ნათია ნაცვლიშვილი

ახალსოფლის, იანეთის I უბნის, ძველი სამტრედიის და ეწრის მოსახლეობა მდინარე რიონის გაღმა ნაპირზე გასასვლელად და საკუთარ საყანე ფართობებთან დასაკავშირებლად ბორნით სარგებლობს. ცოტა ხნის წინ მდინარის საბანაპირო მოისილა, ბორანი შლამში ჩაეფლო და მისი მუშაობა შეუძლებელი გახდა. იგი ერთადერთი საშუალებაა, რითაც მოსახლეობა სარგებლობს მეორე ნაპირზე გასასვლელად, რომ მოსავლით დატვირთული სატვირთო მანქანები გადაიყვანონ.

ახალსოფლის მოსახლეობა საკუთარი ძალებით ვერ შეძლებდა ამ პრობლემის მოგვარებას და დასახმარებლად სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამგებელს, ვალერიანე ფოცხვერიას მიმართა. მათ ამ პრობლემის გახმიანებაში საკრებულოს წევრი, გრიგოლ დარჯანია დაეხმარა. ვალერიანე ფოცხვერიამ სოფლის მცხოვრებლებს უშუამდგომლა ავტობანის მშენებლობაზე მომუშავე კომპანია "ბორანის" წარმომადგენლებთან. კომპანიამ მოსახლეობას მიაწოდა შესაბამისი ტექნიკა და შესაძლებელი გახადა, შლამიდან ბორნის ამოტანა, ასევე, მდინარიდან მოხდა ინერტული მასალის ამოღება, რითაც ტერიტორია მოიზვინა. ამ სამუშაოების მიმდინარეობის განმავლობაში ახალსოფლის მოსახლეობასთან ერთად იმყოფებოდა საკრებულოს წევრი, გრიგოლ დარჯანია.

ბატონმა გრიგოლმა "სამტრედიის მაცნეს" განუცხადა: "ახალსოფლის მოსახლეობა საკუთარი ძალებით ვერ მოერეოდა პრობლემას და დასახმარებლად მიმართა სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამგებელს, ბატონ ვალერიანე ფოცხვერიას, მან გულთან მიიტანა ჩვენი თხოვნა და შეგვპირდა დახმარებას. მადლობა მინდა მოსახლეობის სახელით გადავუხადო გამგებელს გულისხმიერებისათვის და კომპანია "ბორნის" ტექნიკურ დირექტორს, შალვა ყაფლანიშვილს. ამ შემოდგომაზე სოფლის მოსახლეობა შეძლებს ჭირნახული შინ მშვიდობით მიიტანოს და დაბინავოს!"

რეპლიკა

ასე იყო, ასეა და... მომავალშიც ასე იქნება?

ლევან გაბეჩავა

"ტენდერი უნდა გამოცხადდეს", "ტენდერში გაიმარჯვა", "ტენდერი ჩატარდება" _ ეს სიტყვები განსაკუთრებით ხშირად გვესმის ბოლო 10-15 წელია, წლები მიდის, თითქმის არაფერი იცვლება.

ახალი კალენდარული წლის დასაწყისში სოციალურად დაუცველნი დღეების, კვირების მანძილზე ამაოდ ელიან სახელმწიფოსაგან ბოძებულ რამდენიმე პურს, უფასო სადილს.

მიზეზი მოლოდინისა _ ტენდერი აგვიანებს, გამოვლენილი არაა, რომელი ორგანიზაცია გაიმარჯვებს ტენდერში, ვინ მოიპოვებს უფლებას, იზრუნოს მიუსაფართა უფასო კვებაზე ღელავენ მოხუცები, მიუსაფარნი...

ისმის კითხვა, მართებულია, ტენდერის ჩატარება გადავადდეს, თუნდაც ერთი დღით, მაშინ, როცა ადამიანთა, სოციალურად დაუცველთა კვებასთან, მათ არსებობა-არასებობასთან გვაქვს საქმე?

ხომ შეიძლება მისი უდიდებულესობა _ ტენდერი ისე ჩატარდეს,

რომ არ შეჩერდეს ძირითადი პროცესი _ პურის, სადილის მიწოდების გრაფიკი? გულგრილობასთან ხომ არ გვაქვს საქმე? იქნებ, სხვათა ჭირი უჩანს მავანთ ჩირად.

სინამდვილეში რა ხდება არავინ იცის (ყოველ შემთხვევაში ჩვენ). ჯერ რაღა დროს ზამთარი, რაღა დროს ტენდერიაო იკითხავს უთუოდ ვინმე. კადნიერებად არ ჩამეთვლება ვთქვა (ვისურვო) რომ ტენდერი გვიან შემოდგომაზე, კალენდარული წლის დასრულებამდე უნდა ჩატარდეს, რათა წყვეტა არ მოხდეს მიუსაფართა მომსახურებაში.

როგორც ხშირად ხდება ხოლმე, ნებისმიერი რეპლიკისას ისმის კითხვა, წინათ როგორ იყო?

ისე, როგორც ახლა, თუმცა, ამას არავითარი არსებითი მნიშვნელობა არა აქვს იმ კატეგორიის ადამიანთათვის, ზამთრის ცივ დღეებში რომ უწევთ ლოდინი კუთვნილი პურისათვის, ცხელი ულუფისათვის.

ერთი სიტყვით, ასე იყო, ასეა და...

მომავალშიც ასე იქნება?

ახალგაზრდები და ხელისუფლება ქველმოქმედებამ გააერთიანა

ნათია ნაცვლიშვილი

დღის ცენტრი "ლამპარი" ჩვენს მუნიციპალიტეტში 6 წელია არსებობს, მასში 13 ბავშვია გაერთიანებული. ამ ცენტრს არასოდეს აკლია ყურადღება ადგილობრივი ხელისუფლებისაგან თუ მუნიციპალიტეტის სხვადასხვა დაწესებულებისა და სკოლებისაგან.

ამჟამად "ლამპარს" და მის ბენეფიციარებს პროექტ "საქართველოს მოხალისის" კოორდინატორები ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად ესტუმრნენ. "საქართველოს მოხალისე" სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს ერთ-ერთი ახალგაზრდული პროექტია, რომელიც ქვეყნის მასშტაბით ხორციელდება. მისი კოორდინატორები სამტრედიაში მონიკა ცინცაძე და კობა ნოზაძე არიან. კონკრეტულად დღის ცენტრის მხარდამჭერი აქციის ორგანიზატორი მონიკა ცინცაძეა, რომელმაც მუნიციპალიტეტის გამგებელს, ვალერიანე ფოცხვერიას მიმართა განცხადებით, გამოეყოთ 150 ლარი "დღის ცენტრის" პატარა ბინადრებისთვის სახატავი რვეულების, ფანქრების და ტკბილეულობის შესაძენად. ხელისუფლების წარმომადგენლებმა ამ კეთილშობილური საქმის განხორციელებაში ახალგაზრდებს მხარი დაუჭირეს.

"ამ პროექტით გვსურდა შეგვეხსენებინა ამ ბავშვებისთვის, რომ ისინიც ჩვეულებრივი მოქალაქეები არიან და გვინდოდა, ჩვენი სტუმრობით გაგველამაზებინა ერთი დღე". _ გვითხრა მონიკა ცინცაძემ.

აქედან არ წავალთ, თუ თქვენი საყვარელი სიმღერები არ შეგვისრულეთო, მიმართა ბავშვებს მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე ლიზა კარავეიშვილმა, რომელმაც ბავშვების ემოციური შესრულების შემდეგ ცრემლი ვერც ამჯერად შეიკავა. ბავშვებმა შეასრულეს ქართული და ფრანგული სიმღერები.

ქალბატონმა ლიზა კარავეიშვილმა და მუნიციპალიტეტის გამგებლის წარმომადგენელმა ქალაქ სამტრედიაში თენგო ცაგურიამ შეხვედრა კმაყოფილებმა დატოვეს.

ლიზა კარავეიშვილი:

"ჩვენ დღის ცენტრში ხშირი სტუმრები ვართ, ვინაიდან ეს ბავშვები განსაკუთრებულ ყურადღებას საჭიროებენ. მადლობელი ვარ აქაური ადმინისტრაციის, რომ ასე რუდუნებით, მთელი გულწრფელობით უვლიან ბავშვებს და პროგრესი და მათი შრომის შედეგი ყოველთვის იგრძნობა. ყველა წამოწყებას, რომელიც ამ ბავშვებს უკავშირდება, რა თქმა უნდა, გამგეობა გვერდით უდგას, ეს ღონისძიებაც ჩვენ დავაფინანსეთ. მომავალშიც, რა თქმა უნდა, გავაგრძელებთ. უდიდესი ქველმოქმედება და სიკეთეა ამ ბავშვების დახმარება. მოვუწოდებ საზოგადოებას, მაქსიმალური ყურადღება და სითბო გამოიჩინონ ამ ბავშვებისადმი. ჩვენ გვჭირდება ასეთი ქველმოქმედება, ამიტომაც იბადებიან ასეთი ბავშვები, ისინი კეთილი ნების გამოვლენის საშუალებას გვაძლევენ".

შინაური პირუტყვის საშემოდგომო ვაქცინაცია დაიწყო

ნინო ნანიტაშვილი

28 სექტემბერი ცოფთან ბრძოლის საერთაშორისო დღეა. მუნიციპალიტეტში ეს დღე ცალკეული ღონისძიებებით აღინიშნა.

ბოლო მაჩვენებლით სამტრედიის მუნიციპალიტეტში დაახლოებით 7500-მდე ძაღლი და კატა იქნა აცრილი. სურსათის ეროვნული სააგენტოს ვეტერინარიის სპეციალისტების მიერ ზაფხულის პერიოდში ფართომასშტაბიანი ვაქცინაცია ჩატარდა.

ვეტერინარები ძირითადად უბან-უბან დადიოდნენ, ოჯახებში დაფიქსირებულ ძაღლებსა და კატებს პატრონების ნებართვით ცრიდნენ.

გიგა გელოვანი, სურსათის ეროვნული სააგენტოს იმერეთის რეგიონალური სამმართველოს სპეციალისტი: "მეპატრონის ნებართვა ყოველთვის აუცილებელი არ არის, ვინაიდან არავის აქვს უფლება, თავი აარიდოს ისეთ ღონისძიებას, რომელსაც სახელმწიფო განსაკუთრებით საშიშ დაავადებად თვლის და უზრუნველყოფს მის ხარჯებს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ცხოველთა ურჩ მეპატრონეებზე 100 ლარიანი ჯარიმა განხორციელდება".

ძაღლების და კატების აცრებზე სერიოზულ წინააღმდეგობებს გიგა გელოვანი ვერ იხსენებს. რაც შეეხება შინაური პირუტყვის ვაქცინაციას, აქ ხშირად ხვდებიან წინააღმდეგობებს.

აღნიშნულ თემაზე ინფორმაცია გიგა გელოვანმა იმ შეხვედრაზე გააკეთა, რომელსაც სოფლებიდან წარმომადგენლები ესწრებოდნენ. სპეციალისტმა ვეტერინარმა მათ თავიანთი ვალდებულება შეახსენა, უფრო მობილიზებული გახადონ თავიანთ ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობა: " ვრცელდება ცრუ ინფორმაცია, თითქოს ვაქცინაციის შემდეგ ცხოველები კარგავენ პროდუქტიულობას. რაც სინამდვილეს არ შეეფერება. პირიქით, თუ არ დავაზღვევთ შინაურ პირუტყვს, შესაბამისი დაავადებებისგან ვერ დავაზღვევთ ჩვენი და ჩვენი შვილების ჯანმრთელობას. ამიტომ გთხოვთ, ზედმიწევნით კარგად მიიტანოთ აღნიშნული ინფორმაცია თქვენს მოსახლეობამდე, რათა არ გართულდეს სიტუაცია, რასაც მოჰვება ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენა ცხოველის ურჩი მეპატრონის სახელზე".

მელაურში პრობლემა მოგვარებულია

მელაურის თემში, საჯარო სკოლის მიმდებარედ დაწყებული სამუშაოები მუნიციპალიტეტის გამგებელმა ვალერი ფოცხვერიამ, მისმა მოადგილეებმა, დავით ბახტაძემ და მამუკა თავაძემ და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსმა, მიხეილ ლეჟავამ მოინახულა. ადგილზე გამგებლის წარმომადგენელი მელაურის თემში, სოფიო კიკაჩეიშვილი და მაჟორიტარი დეპუტატი ხვიჩა ფანცულაია დახვდნენ. 500 მეტრი სიგრძის არხის გაჭრის აუცილებლობა სკოლის ეზოში წყლის ხშირი დადგომის გამო გახდა აუცილებელი. "ეს მშობლების და პედაგოგების მოთხოვნაც გახლდათ. ასეც რომ არ ყოფილიყო, სასწავლო წელი დაიწყო და ძლიერი ნალექის დროს სკოლაში შესვლა უძნელდებოდათ ბავშვებს, ეზო და გარე პერიმეტრი იტბორებოდა. სკოლის დირექტორმა მოგვმართა და სამუშაოებიც ჩატარდა. ამიერიდან, ვფიქრობთ, ეს პრობლემა აღარ შეაწუხებთ." _ ამბობს სოფიო კიკაჩეიშვილი. თემში გამგებლის წარმომადგენელმა ადგილობრივ ხელისუფლებას მიმართა, სამუშაოებიც დაიწყო და ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებით შესრულდა. გარდა ამისა, არხი გაიჭრა, ჩაიდება გადასასვლელი ბოგირიც.

თემში გამგებლის წარმომადგენელი სოფლის პროგრამით შესრულებული სამუშაოებზეც საუბრობს და აცხადებს, რომ გარკვეულ მონაკვეთზე განათების პრობლემა მოგვარებულია. "თითქმის 2 კილომეტრზე განათდა განათების 60 ბოძი. განათების მოწესრიგება წელს პრიორიტეტი იყო მელაურში. სოფლის მხარდაჭერის პროგრამით მოწესრიგდა ადგილობრივი გამგეობის შენობა, სადაც ამბულატორიაა განთავსებული."

სამუშაოები კომუნალური სამსახურის არხების გაერთიანებამ საკუთარი ტექნიკით შეასრულა.

თეა ბაბუნაშვილი

"რესპუბლიკელობა" ნიშნავს თავისუფლებას

ნინო ნანიტაშვილი

2015 წლის 24 სექტემბერს "რესპუბლიკურმა პარტიამ" ლიტერატურის მუზეუმში მიღებაზე "ღია სივრცე" პარტიის წევრებს, გულშემატკივრებსა და პარტნიორებს უმასპინძლა. მიღებაზე პარტიაში მიმდინარე სიახლეების ამსახველი მოკლე ვიდეორგოლებისა და პარტიის სიმბოლიკის ელემენტებით გაფორმებული აქსესუარების პრეზენტაცია გაიმართა. პარტიის თავმჯდომარე, ხათუნა სამნიძე მოწვეულ სტუმრებსა და პარტიის წევრებს სიახლეებზე ესაუბრა და განაცხადა, რომ 37 წლის გამოცდილება და მომავალზე ორიენტირება პარტიის მუდმივ განახლებასა და საზოგადოებასთან ღია კომუნიკაციას ნიშნავს. "ჩვენ ვართ წარსულის მქონე მომავლის პარტია. სიბრძნე და გამოცდილება ახალ ენერგიასა და პროფესიონალიზმთან ერთად გვაძლევს ძალას, დროულად შევაფასოთ სწრაფად ცვალებადი პოლიტიკური პროცესები". _ განაცხადა პარტიის თავმჯდომარემ. "პარტიას დაერქვა "რესპუბლიკური", იმიტომ, რომ იგი ამოდის ლათინური ტერმინიდან "რესპუბლიკა," ეს ნიშნავს, რომ ეს პარტია არ არის ერთი ადამიანის საქმე, ეს არის მრავალი ადამიანის, საჯარო საქმე, მას ჰყავს მრავალი ლიდერი, "რესპუბლიკელობა" ნიშნავს თავისუფლებას, პასუხისმგებლობას, წინსვლას, მიზანდასახულობას, როდესაც ჩვენ ვამბობდით, რომ ხარი უნდა იყოს რესპუბლიკელების სიმბოლო, ეს ნიშნავდა, რომ ეს არის ძალის, სტაბილურობის, მიზანმიმართულების, თავისუფლებისა და თავდაჯერებულობის სიმბოლო". _ განაცხადა მიღებაზე ლევან ბერძენიშვილმა.

მიღებაზე პარტიის ლიდერები სიტყვით გამოვიდნენ და "რესპუბლიკური პარტიის" იდეოლოგიაზე, განვითარებასა და სიახლეებზე ისაუბრეს. აღნიშნულ ღონისძიებას სამტრედიელი "რესპუბლიკელების" ლიდერი, იმედა გოგავაც ესწრებოდა. მან "სამტრედიის მაცნესთან" საუბარში აღნიშნა, რომ "რესპუბლიკელები" ეს არის პარტია, რომელიც უზარმაზარ გამოცდილებასთან ერთად მზად არის, ფეხი აუწყოს ახალ გამოწვევებს, მისთვის განახლება და "ახალი სისხლი" ყოველდღიური სამუშაო პროცესია. დღევანდელ ქართულ პოლიტიკურ ლანდშაფტზე "რესპუბლიკელები", იდეოლოგიურად და სტრუქტურულად ყველაზე გამართული ორგანიზაციაა, რომელსაც მთავარი გამოწვევები და შესაბამისად გამარჯვებები ჯერ კიდევ წინ აქვს.

აღსანიშნავია, რომ განახლების პროცესი სამტრედიელი "რესპუბლიკელების" რიგებშიც აქტიურად მიმდინარეობს, ჩვენ სულ რაღაც ერთი თვის წინ ჩავატარეთ რაიონული ორგანიზაციის კონფერენცია, ავირჩიეთ კომიტეტის ახალი წევრები, აქტიურად მიდის მუშაობა პარტიაში ახალი, ავტორიტეტული და გამოცდილი სახეების მოსაზიდად, სულ მალე გვექნება პარტიული ოფისის პრეზენტაცია, გარდა ამისა, დაგეგმილი გვაქვს სხვადასხვა სახის აქტივობები და გარწმუნებთ, რომ ჩვენგან კვლავაც ბევრ სასიამოვნო სიახლეს გაიგებთ"

1 ოქტომბერი მოხუცთა საერთაშორისო დღეა!



იმ დილითაც ჩვეულებრივ იყივლეს მამლებმა, გოშიაც კუდის ქიცინით მოგვეგება და ალერსით მოგვილოცა ახალი დღის გათენება.

სოფელი ახმიანდა და ყურსაც გარკვევით ესმოდა, თუ როგორ გადასცემდნენ მეზობლები ერთმანეთს სამწუხარო ამბავს.

ჩვეულებრივი, პატიოსანი, მონაგარზე თავგადადებული მოხუცი გარდაცვლილიყო შუაღამისას, მისი წილი კალო გაელეწა, ვალი არავისი წაუღია, მადლიანად გაიხურა საამქვეყნო კარი და...

სასწაული არაფერი მომხდარა.

იცხოვრა, მოხუცდა, მოკვდა...

პაპა დაკრძალეს, ღირსეულად, როგორც ეკადრებოდა.

ეზოს მიღმა ჩვეული რიტმით მიდიოდა ცხოვრება.

სახლის წინ ვეება კაკლის ძირში დიდხანს იდგა ხელით გაჩორკნილი სამფეხა სკამი.

პაპა იჯდა იმ სკამზე ალიონიდან შებინდებამდე, მერე ბებერ ძვლებს აკრებდა, ყალიონს გაწმენდდა და ტაატით მიდიოდა თბილი საწოლისაკენ.

ეულად იდგა სამფეხა სკამი და გამვლელ-გამომვლელს აუწყებდა რომ...

პაპა აღარ იყო.

გავუფრთხილდეთ, ხანდაზმულობის წლები გავულამაზოთ მოხუცებს, მათ ხომ ჩვენი ზრუნვა და თანადგომა სჭირდებათ.

ლევან გაბეჩავა

ნათია ნაცვლიშვილი

ბაგა-ბაღები ჰატარებს 5 ოქტომბერს მიიღებენ

საგიმზრდელო დაწესებულებები მუშაობას, საგარაუდოდ, ოქტომბრის თვის პირველ კვირაში განაახლებენ. ჩვენს პატარებს მოწესრიგებულ, გარემონტებულ და განახლებულ შენობებში მოუწევთ ყოფნა. მუნიციპალიტეტის № 1 საბავშვო ბაღის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე, ქალბატონი ლიზა კრავეიშვილი და მუნიციპალიტეტის გამგებლის წარმომადგენელი ქალაქ სამტრედიაში, თენგო ცაგურია ესტუმრნენ და მიმდინარე სამუშაოებით დაინტერესდნენ.

მარინა შენგელია, № 1 ბაგა-ბაღის მმართველი ისტორიული ექსკურსით იწყებს და გვეუბნება, რომ ეს ბაღი სამტრედიის მუნიციპალიტეტის ერთგვარი სავიზიტო ბარათია, რადგან ის გაიხსნა 1922 წელს და სამტრედიის პირველი ბაღია. 1980 წლის ბოლოს ახალი შენობა აშენდა.

მარინა შენგელია: "№ 1 ბაგა-ბაღში სარეაბილიტაციო სამუშაოებისათვის დიდი თანხა დაიხარჯა. შეკეთდა სახურავი, რამაც თანხის ძირითადი ნაწილი წაიღო. გაკეთდა სამზარეულოს მთლიანი კომპლექსი. მოწესრიგდა ორი ჯგუფის სველი წერტილი, დაიგო მეტლახი და მოპირკეთდა კაფელით, ასევე, შეიცვალა ზოგიერთი სანტექნიკური საშუალება.

5 ოქტომბერს ვიწყებთ მუშაობას და ველოდებით პატარებს. 2009 წელს აქ საკანალიზაციო სისტემა მოწესრიგდა და წყალგაყვანილობა დამონტაჟდა. მას შემდეგ ასეთი სერიოზული და მასშტაბური სამუშაოები არ შესრულებულა. პირადად მე უდიდეს მადლობას ვეუბნები ბატონ ვალერიანე ფოცხვერიას, დაგვპირდა კიდევ ბევრ რამეს. დიდი მადლობა, რომ 25%-იანი სახელფასო მატება გვაქვს. ბაღის მთელი პერსონალის სახელით უდიდეს მადლობას ვეუბნები მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობას".

ლიზა კრავეიშვილი: "იმ ფონზე, რაც აქ ჩანს, მადლობა ძნელი სათქმელია. გარეშე პირი აქ რომ შემოვა, იტყვის, აქ სამადლობელს ვერაფერს ვხედავო, იმდენად სერიოზული სამუშაოებია ჩასატარებელი, მაგრამ მომავლისთვის, ალბათ, ყველა ხარვეზს აღმოვფხვრით და ყველაფერს მოვაწესრიგებთ, ეს დასაწყისი იყო, რისი საშუალებაც გვქონდა, ყველაფერი მაქსიმალურად მიიმართა პირველი ბაღისაკენ, გადახურვა ძალიან დიდი ფუფუნება იყო და დიდ ხარჯებთან იყო დაკავშირებული. მადლობელი ვარ, რომ სამუშაოები მაღალ დონეზეა შესრულებული და კეთილსინდისიერად. მთლიანობაში მიმდინარე წლის მადლობელი ვართ, რომ ბევრი სასიკეთო საქმე გაკეთდა მუნიციპალიტეტში. მომავალი წლისაგან გაცილებით მეტს ველოდებით".

"სამტრედიის მაცნე" № 4 ბაგა-ბაღსაც ეწვია, სადაც წლეულს ბავშვთა რაოდენობა რეკორდულად მაღალია. ბაგა-ბაღის მმართველი, ნანა დუნდუა:

"15 ივლისს შემოვიდა ჩვენთან სამშენებლო კომპანია "ტუკა" (ხელმძღვანელი ოლეგ თოთაძე) და დაიწყეს რემონტი. წლობით არ ენახა ამ შენობას ხარაჩოები, აღფრთოვანებულნი დავრჩით. ძალიან ხარისხიანად მიმდინარეობს სარემონტო სამუშაოები. სველი წერტილები კაფელსა და მეტლახში ჩაისვა, საძინებლები _ ლამინატში, ფერადი საღებავებით შეიღება ბავშვების გასახარად. სამუშაოები შესაბამისმა სამსახურმა ძალიან კარგად დააპროექტა, ამისთვის ბატონებს ზურაბ გოგიას და ავთანდილ ნაცვლიშვილს დიდ მადლობას ვეუბნები. მოგვიხდა ერთი სამუშაოს მეორეთი შეცვალა _ შენობის წინ ბეტონის საფარი უნდა დაგებულიყო, მის ნაცვლად, ვთხოვეთ, პროდუქტის შესანახი საწყობის გაკეთება. უყოყმანოდ დაგვთანხმდნენ მშენებლები. დიდი მადლობა მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობას, ბატონი ვალერი ყოველკვირეულად ადევნებდა თვალ-ყურს სარემონტო სამუშაოებს, ასევე მოდიოდნენ სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანების წარმომადგენლები. დიდი მადლობა მათ თანადგომისათვის. ჩვენი ყველა თანამშრომელი ფიზიკურად შრომობს. ხელში ფუნჯი უჭირავს ყველას. მინდა, დიდი მადლობა ვუთხრა ბატონ დავით ბახტაძეს, ყველამ დიდი მხარდაჭერა გამოხატა ჩვენდამი."

დაღლის და დაქანცულობის მიუხედავად, ნანა დუნდუა კმაყოფილი და ბედნიერი ეგებება სკოლამდელების ახალ ნაკადს. შეიძლება ითქვას, ბავშვების რეკორდულ რაოდენობას უმასპინძლებს, გარემონტებული ბაღი. წლეულს 180 ბავშვი მიიღეს, ამჟამად ბაღში 500 ბავშვია, სულ 15 ჯგუფია.

"სამწუხაროდ, გაიწელა სარემონტო სამშუაოები და სექტემბერში ვერ განვაახლეთ საგიმზრდელო პროცესი. ეს ჩვენი ბრალი არ არის. სამუშაოების დასრულების ვადა ტენდერით გარკვეულ დრომდე გაგრძელდება. 21 სექტემბერს უნდა გაგვეახლებინა პროცესი, უკვე გადავწყვიტეთ, 5 ოქტომბერს განახლდეს აღმზრდელობითი მუშაობა. სოფლად ბაღებში სოფლის პროგრამებით ჩატარდა სამუშაოები, ქალაქად რეგიონული განვითარების ფონდის პროგრამით აქცენტი ყველ წერტილებზე გაკეთდა". _ გვეუბნება მუნიციპალიტეტის გამგებელი, ვალერიანე ფოცხვერია და გვპირდება, რომ თავადაც დაეწრება ბაგა-ბაღებში საგიმზრდელო პროცესის დაწყების ღონისძიებებს.

ოფეთის ცხოვრება ყოველ ხმამაღლა

ნათია ნაცვლიშვილი

ოფეთის სასოფლო კლუბი მორიგი გაჩერებაა იმ ტურნესი, რომელიც კულტურის მუშაკებმა სულ ახლახან წამოიწყეს. სოფლის კლუბები სავალალო მდგომარეობაშია და კლუბის ხელმძღვანელებმა დიდი ძალისხმევის წყალობით შეინარჩუნეს ისინი დღემდე, მაგრამ მათში სურვილი იმისა, კულტურული მაჯისცემა არ შენელდეს, არ ჩამქრალა. სწორედ ამ კულტურული ცხოვრების გამოცოცხლების და კლუბების გააქტიურების მიზნით, კულტურის ცენტრის ხელმძღვანელმა, ვეფხია ნადირაძემ და სასოფლო კლუბების მეთოდისტმა, ციალა სტურუამ გადაწყვიტეს, ასეთი ღონისძიებები სოფლებში გაიტანონ. ამ აქციებს დიდი დატვირთვა აქვთ: ვარდა იმისა, რომ მუნიციპალიტეტის სხვადასხვა სოფლის კულტურული დაწესებულებები ერთმანეთთან კავშირს ამყარებენ, ისინი სოფლების მცხოვრებთა ზნეჩვეულებებს და ტრადიციებსაც ეცნობიან. ასეთ გასვლებს ყოველთვის ექსკურსიის სახე აქვს.

ამჯერად ულამაზესი სოფლის, ოფეთის სტუმრები ვართ. ოფეთის სასოფლო კლუბს 2011 წლამდე ბატონი ჟორა ზაქრაძე ხელმძღვანელობდა, ამჯერად კი, მისი მეუღლე, ქალბატონი მაგული ზაქრაძე ხელმძღვანელობს. ულამაზეს მთებზე შეფენილი სოფლის მასპინძლები წმ. მთავარანგელოზთა სახელობის ტაძრისაკენ მიგვიძღვებიან. აღმართში, ბლომად გვხვდება მიტოვებული სახლები, ბალახი მოსდებია ერთ დროს ახმაურებულ კარ-მიდამოს და ჭინჭარი მოძალადე თურქ-სელჯუკივით მიუყვება კიბეებს. _ აქ ჩემი მამაპაპეული მამულია, _ გვეუბნება ბატონი ვეფხია ნადირაძე და სიყვარულით იხსენებს გარდაცვლილ მამას, რომელიც თურმე უმძიმესად განიცდიდა აქ ხეების მოჭრის ფაქტებს. _ რას საქმიანობთ, ახალგაზრდები? _ვეკითხები ჩვენს მეგზურ დიეგოს. გვასვდიანებს მისი რეპლიკა. მიუხედავად იმისა, ის საკმაოდ წარმატებული ახალგაზრდაა და ერთ-ერთ საფინანსო ორგანიზაციაშიც მუშაობს, ოჯახის შექმნა უჭირს. გოგონებმა რომ გაიგეს, ოფეთში ვცხოვრობ, ყველამ "დამბლოკა". _ გვეუბნება დიეგო.

ტაძარში შევდივართ. კულტურის ცენტრთან არსებულ ანსამბლ "ათინათის" წევრები გალობენ.

მოგვიანებით, ღონისძიების დაწყების შემდეგ, ამ შესანიშნავი ტაძრის ისტორიას ვგებულობთ. ამ ზვიადი მთების შვილებს არც ვაჟკაცობა აკლიათ, არც ნიჭი, არც სამშობლოს და საკუთარი კუთხის სიყვარული. სწორედ ამ სიყვარულმა "აიძულა" სოფლის მკვიდრი ოლეგ ნიკოლეიშვილი, დასდგომოდა მხარში თანასოფლელებს და 2002 წელს წმ. მთავარანგელოზის სახელობის ეკლესია აეშენებინა. მთის მწვერვალზე ახალგაზრდებმა მხრებით აიტანეს ქვები და დღეს ამ ულამაზესი ტაძრიდანაც ეფინება ღვთიური მადლი საქრისტიანოს.

სოფლის ისტორია მუნიციპალიტეტის საკრებულოს უხუცესმა დეპუტატმა, ოფეთის თემის მაჟორიტარმა, ტარიელ თევზაძემ მიმოიხილა და აღნიშნა, რომ თხილაგანი და წიაღუბანი ზღვის დონიდან 400 მეტრზე მდებარეობს და მუნიციპალიტეტის სოფლებს შორის ისინი ყველაზე მაღალმთიანი სოფლებია. ის განსაკუთრებული პატივისცემით, სოფლის უხუცესს, 94 წლის სამამულო ომის ვეტერანს, შოთა გოგიშვილს მიესალმა. მადლობა უთხრა ღონისძიების ყველა ორგანიზატორს, ხელისუფლების წარმომადგენლებს, ეზოში შეკრებილ მოსახლეობას კი მიმართა: "სულ ვფიქრობ, ასე ცოტანი რატომ ვართ, მაგრამ თურმე რამდენი ვყოფილვართ". შემდეგ ბატონმა ტარიელმა, სასიხარულო ინფორმაცია მოგვაწოდა, მამა-პაპათა ფუძეს უბრუნდება ხალხი, უკვე 8 ოჯახი დაბრუნდა სოფელში და ეს იმის იმედს იძლევა, რომ სოფელი არ მოკვდებაო. მოგვიანებით, სუფრის მესვეურის როლში მან მართლაც მონუსხა საზოგადოება. თავისი პოეტურობითა და ენამზიანობით.

ამ სასოფლო კლუბის ეზოში გატარებული საკუთარი ბავშვობის წლები გაიხსენა მუნიციპალიტეტის გამგებელმა, ბატონმა ვალერიანე ფოცხვერიამ, რომელიც დეიდასთან სოფელ მტერჩვეულს სტუმრობდა თურმე. სოფლად ხელისუფლების წარმომადგენლები ძირითადად საარჩევნოდ ჩნდებიან ხოლმე, ამდენად, მაღალმთიან სოფლებში გამგებლის გამოჩენა ხალხს საუკეთესო შანსს აძლევს, პრობლემები გამოთქვან. ამჯერად პრობლემებზე თვით გამგებელმა ისაუბრა: "კლუბს ვეძახით ამ შენობას, სინამდვილეში სავალალო მდგომარეობაშია იგი, აქ ეკლესიის საძირკველია და ჯობს, ეკლესია ავაშენოთ, კლუბი კი სხვაგან გაკეთდეს". _ გამგებელის ამ მოსაზრებას აპლოდისმენტები მოჰყვა. ვალერიანე ფოცხვერიას თქმითვე, ძალიან ზრუნავენ სოფელზე როგორც ტარიელ თევზაძე, ისე სოფლად გამგებლის წარმომადგენელი, თემურ ჩხაიძე. "წლების განმავლობაში აქ გაზი არ იყო, მალე ოჯახებში შევიყვანთ, ნელ-ნელა ყველაფერს ისე გავაკეთებთ, როგორც თქვენ გეკადრებათ, მიხარია, რომ სოფლად ბრუნდება ხალხი, არაფერზე "იდარდოთ, მაქსიმალურად შევეცდებით, ხელი შეგიწყოთ, გვიგულეთ მეგობრად, პატრონად, ოჯახის წევრად..." _ განაცხადა გამგებელმა.

ამაღლობელთა ოჯახური ანსამბლის და "ათინათის" რეპერტუარმა მაყურებელი დაატყვევა. შესანიშნავი მხატვრული ნომრები წარმოადგინეს სოფლის ახლომდებარე საჯარო სკოლების: ოფეთის № 1 (მზევინარ თარგამაძე) ოფეთის № 2 (ლალი ნადირაძე) და წიაღუბნის (მანანა თევზაძე) სკოლის მოსწავლეებმა. ასევე მუსიკალური ნომრებით წარსდგნენ ღანირის კულტურის სახლის წარმომადგენლები.

"სამტრედიის მაცნესთან" ნაბაკევის სასოფლო კლუბის გამგემ, მადონა ჩომახიძემ 40 წლის წინანდელი ისტორია გაიხსენა, როცა ის სოფელ წიაღუბნის 8 წლიანი სკოლის პიონერხელმძღვანელად მუშაობდა. სოფლის სისუფთავე და სიყვარული მას ახლაც ახსოვს. ამიტომაც უდიდესი სითბოთი და სიყვარულით მოიკითხა აქაური მიშა სარქისოვი. ქალბატონმა მადონამ იუმორისტული ლექსიც შემოგვთავაზა, რომელსაც უცვლელად ვბეჭდავთ:

ძველი დრო

ნეტავ იმ დროს, ნატრობს ყველა,
მდიდარიც და ღარიბიც,
იმ დროს გვქონდა ბევრი პური, შაქარი და მარილიც.
სამსახური ჰქონდა ყველას, ხელფასი და "ხალტურაც",
ყველა სახლში 2 კაპიკად გვანათებდა ნათურა.
მოსკოვში რომ "ბორშს" შეჭამდი, ხინკალს ჭამდი ყაზბეგში,
კარგი მწვადის შესაჭმელად წახვიდოდი კახეთში.
შავგრემანი, ქერა ქალი... სარჩევში
რომ იყავი,
ახლა შენი თურქს და ბერძენს გაუგზავნე ოჯარით,
ივაჟკაცე, ისე ჰქენი, დაიბრუნე დიდება,
ღმერთი მოგცემს, ძალას, ისევ ავღორძინდეთ იქნება!

ღონისძიების ბოლოს სასოფლო კლუბების ხელმძღვანელებმა ჭოგნარი (მადონა მსხილაძე), ოფეთი (მაგული ზაქრაძე), ტოლები (გულნაზ ეცადეიშვილი), ნოღა (ომარ ეცადეიშვილი), ეწერი (ნანა წივწივაძე), ნაბაკევი (მადონა ჩომახიძე), ხუნჯულაური (მანანა გაბადაძე), ღანირი (ლია არუსია, რამაზ გვალია), გამოჩინებული (ელენე თევზაძე) ტრადიციული, მეგობრობის ჰიმნად ქცეული სიმღერა "თუ გინდა სითბო და ნუგეში" შეასრულეს.

ახალგაზრდულმა სიხალასემ და ენერგიამ სოფელი აახმაურა და გამოაცოცხლა. ასეთი ლამაზი დღეები გვჭირდებაო, აღნიშნეს სოფლის მცხოვრებლებმა.

საჭიდაო დარბაზი მომავალი სპორტსმენებისათვის

ნათია ნაცვლიშვილი

ტოლებში მუნიციპალური მედიის სტუმრობის მიზეზი სასიამოვნო სიახლე გახდა: ტოლების თემის ადმინისტრაციულ შენობაში ბინა საჭიდაო დარბაზმა დაიდო. საჭიდაო კლუბ "ფალავანის" მწვრთნელ-პედაგოგის, უამრავი წარმატებული სპორტსმენის აღმზრდელის, გრიშა სიხარულიძის თხოვნა, გამოეყოთ ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავე პატარებისთვის დარბაზი, სიამოვნებით გაითვალისწინა ადგილობრივმა ხელისუფლებამ და 18 პატარას უკვე შესაძლებლობა აქვს, ივარჯიშოს. როგორც მუნიციპალიტეტის გამგებლის წარმომადგენელი ტოლების თემში, ალექსი ბოცვაძე გვეუბნება ადმინისტრაციული შენობა ცოტა ხნის წინ სოფლის მხარდამჭერი პროგრამის ფარგლებში გადაიხურა, ბატონმა გრიშამ საჭიდაო ხალიჩა

ითავადვე მოიძია და მოიტანა. ალექსანდრე ბოცვაძის თქმითვე, დარბაზში ოთხი სოფლის მცხოვრებლებს აქვთ შესაძლებლობა, ივარჯიშონ და ჯანსაღი ცხოვრების წესით დაკავდნენ.

გრიშა სიხარულიძე, მწვრთნელ-მასწავლებელი: "1997 წლიდან ვმუშაობ ბერძნულ-რომაულ სტილით მოჭიდავეთა მწვრთნელ-მასწავლებლად. გამიზრდია მრავალი სპორტსმენი. მათ შორის საქართველოს მრავალი ჩემპიონი. ევროპის ჩემპიონი, გურამ სტურუა, ის 1994 წელს მე-9 კლასის მოსწავლე გახდა მსოფლიო პრიზიორი და სიდნეის ოლიმპიადაზე საქართველოს ნაკრების წევრი იყო... მადლობა თემში გამგებლის წარმომადგენელს ალექსი ბოცვაძეს მხარდაჭერისათვის. წინათ ამ ოთახში სხდომათა დარბაზი იყო, ახლა კი მომავალ სპორტსმენებს ვზრდით. ამჯერად აქ გვყავს ნოღის, ვაზისუბნის და ტოლების საჯარო სკოლების მოსწავლეები, ერთიც ქორეისუბნიდან. ბავშვები კვირაში 3 დღეს ივლიან".

ტოლების თემში შედის სოფლები: ნოღა, ზემო ნოღა, ქორეისუბანი, ტოლები, ზემო ტოლები. გამგებლის წარმომადგენელს სოფელში მიმდინარე სამუშაოების შესახებაც ვკითხეთ.

ალექსი ბოცვაძე: "ბევრი სასიკეთო საქმე კეთდება. 8 კილომეტრნახევარი წყლის მაგისტრალი ტოლებიდან ქორეისუბნამდე შეიცვლება. სამუშაოები რეგიონული განვითარების ფონდის პროგრამით მიმდინარეობს და მალე დასრულდება. მიმდინარეობს სოფლის პროგრამით გზების მოხრეშვის და სანიაღვრე არხების მოწესრიგების სამუშაოები. ვაზისუბანი-ნოღის შემაერთებელი გზის სამუშაოები დაპროექტდა, მალე გამოცხადდება ტენდერი, რომელიც გამოავლენს მომუშავე კომპანიას. ზემო ტოლებში არის კეშელავების უბანი, სადაც გზა მოუწესრიგებელია და იქ მალე ხიდი აიგება".

ალექსი ბოცვაძე ტოლების მცხოვრებთა სპორტით დაინტერესების შესახებ გვიყვება. როგორც აღნიშნა, სულ ახლახან ჩატარდა შეჯიბრი ფეხბურთში სოფლებს შორის. მასში საჯავახოს თემიდან _ ჭოგნარის გუნდი, ხოლო, გორმაღლის თემიდან _ გორმაღლის გუნდმაც მიიღო მონაწილეობა. "რაც შემეძლება, გვერდით დავუდგები ყველას, ასაკოვანსაც და ხანდაზმულსაც". _ გვეუბნება ბატონი ალექსი.

სოფელმა თავისი სალოცავი დაიბრუნა

ნინო ნანიტაშვილი

ბუნების ამ წიაღში, ვინც მისთვის ყველაზე ახლობელი იყო და ყველაზე მეტად უყვარდა, ის ადამიანი ეგულებოდა.

ყველაზე ახლობელი, ყველაზე საყვარელი და თან ყველაზე ტკივილიანი. განსაკუთრებულ თარიღებსა და დღეებს არ უცდიდა, ხშირ-ხშირად ისე მოუჩქაროდა აქეთკენ გული. ოღონდ იმ რეალობით, რომ აქ მოსულს ცოცხალის ნაცვლად მარმარილოს ცივ ქვაზე გამოსახული დედის თბილი სახე ხვდებოდა.

არაფრის შეცვლა შეეძლო. ამქვეყნიდან ძალიან ადრე წასულ დედას ვერავინ და ვერაფერი დაუბრუნებდა. თუმცა ქორეისუბნის სასაფლაოზე მისულს ერთგვარ სიმშვიდეს ყოველთვის ანიჭებდა უფლის სახლის სიახლოვე, რომელიც, საუბედუროდ, კომუნისტების რისხვას და ჟამთა სვლას ვერ ვადარჩენოდა.

იდგა სუროშემოხვეული, სევდიანი და მაინც ნუგეშისა და იმედის მომცემი, რომ დღეს თუ არა ხვალ, რწმენაში გაძლიერებული ადამიანები ტანიდან სუროს შემოაცლიდნენ და ნგრევის პროცესს შეაჩერებდნენ.

ასეთი დროც დადგა: სოფელში მასავით კიდევ რამდენიმე ათეული კაცი ფიქრობდა, რომ ვაზისუბნელებისთვის იმაზე კარგი არაფერი იყო, ვიდრე მათ ტერიტორიულ ერთეულში მოქმედი ეკლესია, სადაც, თუ ყოველდღე არა, კვირაში ერთხელ მაინც შემოჰკრავდნენ ზარებს და ღვთის მსახური უფლის სადიდებლად წირვა-ლოცვას აღავლენდა.

მაშინ 2004 წელი იდგა. თავდაპირველად ეპარქიის მმართველს მიაშურეს, კურთხევა ითხოვეს. მეუფე საბამ გაუქმებული ეკლესია მოინახულა, თვალი გადაავლო წარსულს, მოისმინა მოსახლეობის აზრი და მოხალისეებს ნებართვა მისცა, მშენებლობას შესდგომოდნენ.

“როგორც მახსოვს, ბატონი ჯონი ნადირაძე მივიდა მეუფესთან და ჩვენი სურვილი გაანდო. სთხოვა, მიეღო პასუხი, თუ როდის შეძლებდა მეუფე საბა ვაზისუბანში ჩამობრძანებას. ხონი-სამტრედიის ეპარქიის მმართველი მეორედ 2005 წლის 21 სექტემბერს მოვიდა ქორეისუბანში, ხელახლა დაათვალიერა ტაძრის შენობა და გვითხრა, თუ ჩვენ შევძლებდით ყველა სამუშაოს შესრულებას, 20 ოქტომბერს აკურთხებდა და ეკლესიაც ხელმეორედ დაიწყებდა ფუნქციონირებას”. _ მიამბობს ჩემი სტატიის გმირი, ლაშა ქაშაკაშვილი. კაცი, რომლის არსებობითა და განვლილი გზით არა მარტო მისი ოჯახი, მეგობრები, მთელი სოფელი ამაყობს. კაცი, რომელიც ათეული წლის წინ აქტიურად იყო ჩართული ვაზისუბანში ღვთისმშობლის შობის სახელობის ეკლესიის აღდგენის საქმეში და თანასოფლელებთან ერთად მიზანსაც მიაღწია.

მაშინ, როგორც მოქმედ ჟურნალისტს, მეც კარგად დამამახსოვრდა, რომ მეუფე საბას 2005 წლის 21 სექტემბერს, ღვთისმშობლის შობის დღესასწაულზე ქორეისუბანში ძალიან ბევრი ხალხი დახვდა. ძირითადად, ვაზისუბნისა და მეზობელი სოფლების მოსახლეობა. არც იყო გასაკვირი, რამეთუ ტაძარი, რომელიც ღვთისმშობლის შობის სახელობისად იწოდებოდა, ყოველი წლის 21 სექტემბერს, მიუხედავად იმისა, რომ გაუქმებული იყო, მაინც იზიდავდა მრევლს.

“მეუფეს აინტერესებდა, რა მდგომარეობა იყო სოფელში. ძალიან ბევრი ადამიანი შეეგება. გაესაუბრა ხალხს, გაიგო მათი აზრი, მასაც ესიამოვნა, ალბათ, ასეთი ამაღლებული განწყობა რომ დახვდა და გვკითხა: რა დრო იყო საჭირო ტაძრის მოსაწესრიგებლად, წირვა რომ ჩატარებულიყო. ჩვენ ამისთვის ერთი თვე ვითხოვეთ”. _ თხრობას განაგრძობს ლაშა ქაშაკაშვილი.

ერთი თვე შრომაში გასწორებული დღეღამის ფასად: თავს არავინ ზოგავდა. ვისაც რა შეეძლო, იმით ეწეოდა ტაძრის აღდგენით სამუშაოებს. ვიღაცას ფული მოჰქონდა, ვიღაცას საშენი მასალა, ვიღაც ფიზიკურ ძალას არ იშურებდა. მაგრამ მთავარი პირველი ნაბიჯი იყო, რომელიც ვაზისუბნელებს მილსადენის კომპანიამ გაბედვინა და გადაადგმევინა: “პირველი ფული, რომლითაც მუშაობა დავიწყეთ, “ბიპიმ” ჩამოგვირიცხა. დაზიანებული საძოვრის აღსადგენად მილსადენის კომპანიამ მაშინ სოფელს 1500 ლარი ჩამოურიცხა. მოსახლეობამ გადაწყვეტილება მიიღო, ეს თანხა ქორეისუბნის ღვთისმშობლის შობის სახელობის ტაძრის აღდგენისთვის მოეხმარათ”.

ამ საქმით ძალიან ბევრი ადამიანი იყო დაინტერესებული, უკლებლივ მთელი სოფელი, იქ მცხოვრებნი, თუ სხვაგან წასულები. ვიღაც იყო, რომელსაც ფული არ ჰქონდა, მაგრამ შეეძლო, ფიზიკურად ემუშავა: “სოლიდური თანხა რომ ვინმეს შეეწიროს, ასეთი არავინ ყოფილა. ცოტ-ცოტა და ბევრი შემომწირველი გვყავდა. უახლოესი, ნოღაში წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია იყო. ეს მარტო ის თემა არ არის, რომ სოფელს მოქმედი ტაძარი ახლოს ერჩივნა. იმ უბანში ცხოვრობდნენ ძირითადად კოპალეიშვილები და რუხაძეები. შემდეგ დასახლდნენ სხვა გვარის წარმომადგენლები. ამ სასაფლაოზე ზოგს დედა ჰყავდა დაკრძალული, ზოგს მამა, დედმამიშვილი, ნათესავი. სოფელს სულ ჰქონდა სურვილი იმისა, რომ ამ ტერიტორიაზე არსებული სალოცავი მიეყვანა იმ კონდიციამდე, წირვა-ლოცვა განახლებულიყო. სურვილი სულ იყო, უბრალოდ, ფინანსური და ტექნიკური საშუალებები 2004-ში გაჩნდა. “ბიპი” გახდა ამის კატალიზატორი”.

2005 წლის 20 ოქტომბერს ქორეისუბნის სასაფლაოს ტერიტორია მრევლს ვერ იტევდა. შემოდგომის სუსხიანი დღის მიუხედავად უამრავი ადამიანი მოსულიყო. ვინც ტაძარში შესვლა ვერ მოახერხა, სასაფლაოს ეზოში იდგა და სულგანაბული ისმენდა ხონი-სამტრედიის ეპარქიის მმართველის, მეუფე საბას წირვას. უფალს მადლობას უძღვნიდნენ იმისთვის, რომ ათეული წლების შემდეგ სოფელმა თავისი სალოცავი დაიბრუნა.

“ტაძარი დღესაც იმ მდგომარეობაშია, როგორც 2005 წლის ოქტომბერში იყო, როცა გაიხსნა. თავდაპირველად ორ კვირაში ერთხელ ჩამოდიოდა მღვდელი, ჯერ მამა დავითი წირავდა, შემდეგ _ მამა გიორგი. ინტენსიური სახე მას შემდეგ მიიღო, რაც მეუფე საბამ ქორეისუბანში მამა შიო გაამწესა: სოფელი მიეჩვია, ყოველ კვირას თუ მივა ქორეისუბნის ღვთისმშობლის შობის სახელობის ტაძარში, იქ მათ აუცილებლად დახვდებათ მამა შიო, რომელიც წირვას ჩაატარებს. დრომ დაგვანახა, რომ ხალხმა ნელ-ნელა დაიწყო ეკლესიაში სიარული, ტაძრისაკენ მობრუნება, რწმენაში გაძლიერება. რაც ძალიან მახარებს.”

ლაშა ქაშაკაშვილს ამ ათი წლის განმავლობაში არ ახსენდება ისეთი 21 სექტემბერი, სამტრედიაში რომ არ ჩამოსულიყოს და თანასოფლელებთან ერთად ღვთისმშობლის შობის დღესასწაული ქორეისუბანში არ აღენიშნოს: “ჩემთან ერთად ბევრმა სამტრედიელმა მის აღდგენაში თითო აგური დადო. ამაყი ვარ, რომ სამუშაოებში ფიზიკურადაც ვიყავი ჩართული და კანონიერების ფარგლებში, როგორც გამგებლის მოადგილე, ფინანსურ რესურსებსაც ვიძიებდით”.

აღდგენიდან 10 წელი, საიუბილეო თარიღი შესრულდა ქორეისუბნის ღვთისმშობლის შობის სახელობის ტაძარს. მეუფე საბამ ვაზისუბანში წელსაც ტრადიციულად ჩაატარა სადღესასწაულო წირვა-ლოცვა, იქადაგა 21 სექტემბრის დღის მნიშვნელობაზე, მოიხსენია ტაძრის აღდგენის საქმეში აქტიურად ჩართული ადამიანები, დალოცა ეკლესიაში მისული მრევლი.

კიდევ ერთი წარმატება

ჩვენი კოლეგა, ირაკლი აკობია ტელეკომპანია GDS-ის ქუთაისის ბიუროს კორესპონდენტია. იმერეთში ბიუროს ორი კორესპონდენტი ეყოლება და მთელ რეგიონს მოიცავს.

ირაკლის დატვირთული სამუშაო გრაფიკის გამო პირადად ვერ შევხდვით, მაგრამ მასთან სატელეფონო კომენტარით შემოვიფარგლეთ:

“დაახლოებით ორი კვირის წინ სრულიად მოულოდნელად GDS-დან დამირეკეს და მუშაობის დაწყება შემომთავაზეს. იქიდან გამომდინარე, რომ ჩემთვის ტელევიზიაში მუშაობა ძალიან საინტერესოა, დიდხანს არც მიფიქრია, მეცხრე არხიდან მოყოლებული, საკმაოდ კარგი ურთიერთობა მქონდა ტელევიზიის თანამშრომლებთან. დღეს მათი უმეტესობა GDS-შია დასაქმებული, ამიტომ ისევ გამიხსენეს და შემოთავაზებამაც არ დაყოვნა. ვარ GDS-ის ქუთაისის ბიუროს კორესპონდენტი, პარალელურად ვაგრძელებ თანამშრომლობას სამტრედიის მუნიციპალიტეტის საინფორმაციო ცენტრთან და საინფორმაციო სააგენტო “ინტერპრესნიუსთან”. ვიქნები საკმაოდ დატვირთული, იმედია, ყველაფერს შევძლებ”. _ გვითხრა ირაკლიმ.

ირაკლი ჟურნალისტიკაში სხვა სფეროდან არ მოსულა, ის დიპლომირებული ჟურნალისტია და ეს ფაქტორი განსაკუთრებულ ღირსებას სძენს მის საქმიანობას. მან სტუდენტობაშივე ქუთაისში დაიწყო მუშაობა ადგილობრივ მედია-საშუალებებში. ამბობს, რომ 10 წელია ჟურნალისტიკაშია.

“ეს სფერო ჩემთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან სწორედ ჟურნალისტიკამ მომცა შესაძლებლობა, ვყოფილიყავი თითქმის ყველა მოვლენის ეპიცენტრში. გარკვეულწილად ბოლო წლებში ქვეყანაში მიმდინარე მოვლენების ერთ-ერთი თანამონაწილეც ვარ და ეს მახარებს კიდეც. მომეცა შესაძლებლობა, მემუშავა საკანონმდებლო ორგანოში, სადაც ქვეყნის მნიშვნელოვანი ამბები წყდება”. _ გვეუნება ჩვენი კოლეგა.

ვულოცავთ ირაკლის კიდევ ერთ ჟურნალისტურ “ფრონტზე” მოღვაწეობის დაწყებას, საქმიან, დაუღალავ, ფუტკარივით მოფუსფუსე ჟურნალისტს ჟურნალისტური “ცხელი თემების” სამრავლეს ვუსურვებთ. ქვეყნის სიყვარულით კეთდება ყოველი საქმე, მათ შორის, ჟურნალისტურიც, საზოგადოების დაკვეთა _ ეს არის უმაღლესი იმპერატივი, რომელსაც ყველა წესიერი ჟურნალისტი ემორჩილება, ქართული ჟურნალისტიკის დიდ ამალაში თავისი ღირსეული ადგილი ირაკლისაც ეპოვნოს!

ნათია ნაცვლიშვილი

სამშობლო სნკვაგვარი მონატრებაა

ქეთევან ჭელიძე

თითქმის 40 წელია, სხვა ქვეყანაში ცხოვრობს. მიუხედავად იმისა, რომ იქ ოჯახთან ერთადაა და ექიმის წარმატებული კარიერაც აქვს, ნუგზარ ნადარეიშვილი საქართველოში პირველი შესაძლებლობისთანავე აპირებს დაბრუნებას. როდის? ჯერჯერობით გაურკვეველია, ფაქტია, რომ მისი სამშობლოდან ჯერ მხოლოდ მიდიან და მიდიან.

ისიც წავიდა, მაგრამ სხვა დროს და სხვა მიზნით. მას შემდეგ, ავად თუ კარგად, ბევრი რამ შეიცვალა. საზღვრებს მიღმა დარჩენილისთვის კი სამშობლო სხვაგვარი მონატრებაა, გამძაფრებული სიყვარული.

ქართული ანბანითა და ილუსტრაციებით ააჭრელა სახლის კედლები. მტკიცედ გადაწყვიტა, შვილებს არა მარტო ქართულად ემეტყველათ, წერა-კითხვაც შეესწავლათ. ენის უკეთ დაუფლების მიზნით მასწავლებელიც კი აუყვანა მათ.

“მოსკოვში ბავშვი ბაღში ან სკოლაში თუ წავიდა, მერე მას “თხა და გიგოს” ვეღარ ასწავლი. ეს მე არ დავუშვი. ახლო ნათესავები მყავს იქ, მათმა ბავშვებმა ვერ ისწავლეს ქართული ენა. ოჯახები ვიცი, სადაც დედამ რუსული არ იცის და შვილებმა ქართული. გასაოცარია! დღეს ჩემი შვილები გამართულად საუბრობენ მშობლიურ ენაზე”. _ კმაყოფილებას გვიზიარებს ჩვენი რესპონდენტი.

ამ ცოტა ხნის წინ, ჩვენი თხოვნით, ბატონი ნუგზარი რედაქციაში დასთან, ქალბატონ ნატალიასთან ერთად გვესტუმრა. სამტრედიელებისათვის ცნობილი ქალბატონის, ცაცა ქავზინაძის სიძე ამჯერად საქართველოში სიდედრის გარდაცვალებასთან დაკავშირებით ჩამოვიდა.

ნუგზარ ნადარეიშვილი გასული საუკუნის 40-იან წლებში აფხაზეთიდან სამტრედიაში დასახლებული ნადარეიშვილების შთამომავალია. მისი მამა, ვიანორი, პავლე ნადარეიშვილის 4 შვილიდან ერთ-ერთია, რომლებმაც ამ ქალაქში და საერთოდ რაიონში კარგი სახელი დაიმკვიდრეს. მამისა და დედის, ელენე მუქერიას შესახებ სასაუბრო არ ელევათ შვილებს; რომ მათ ყველაფერი გააკეთეს სათანადოდ აღეზარდათ ისინი, გზაზე დაეყენებიათ, ტრადიციების ერთგულება ესწავლებინათ. განათლებას განსაკუთრებულ პატივს სცემდნენ ნადარეიშვილების ოჯახში. განათლებულ, ინტელექტუალურ ადამიანებთან ურთიერთობა თავის გავლენას ახდენდა შვილებზეც. ირგვლივ მუდამ ჰყავდათ ასეთი პიროვნებები, მათ შორის პროფესორები: აკაკი და ანდრო ნადარეიშვილები. ბატონი ნუგზარიც სამტრედიის ყოფილი რუსული საშუალო (მე-4 საჯარო) სკოლის საუკეთესო მოსწავლედ ითვლებოდა. ოქროს მედლის კანდიდატმა თვითონვე თქვა უარი მედალზე და სკოლის დამთავრების შემდეგ მოსკოვის სამედიცინო ინსტიტუტში ჩაირიცხა. იგი თბილად იგონებს სკოლის წლებს: “მაღალი კვალიფიკაციის მასწავლებლები მყავდა. სკოლაში რომ მივედი, ერთი სიტყვაც არ ვიცოდი რუსული, მასწავლებელმა _ ქართული. ამან დიდი როლი ითამაშა, მალე შემესწავლა ენა”.

ქირურგის სპეციალობას დაეუფლა და იქვე, მოსკოვის პირველ სამედიცინო ინსტიტუტში დაიწყო მუშაობა. რამდენიმე წლის შემდეგ სვიატოსლავ ფიოდოროვის სახელობის თვალის კლინიკის ფილიალში, მოსკოვთან ახლოს მდებარე ზელენოგრადის კლინიკაში გადავიდა. 25 წელი იმუშავა იქ ლაზერული ქირურგიის დარგში. ამ რამდენიმე ხნის წინ, ფიოდოროვის სახელობის თვალის კლინიკის დაშლის შემდეგ, თვალის ცენტრი კერძო ერთეულად ჩამოყალიბდა და ბატონი ნუგზარი ახლა იქ აგრძელებს საქმიანობას.

უმაღლესი კატეგორიის ექიმმა თავისი ცხოვრების მიზანს მიაღწია _ მისთვის საინტერესო და საზოგადოებისთვის საჭირო საქმეს აკეთებს. მუდმივად იფართოვებს ცოდნის არეალს. მის ანგარიშზე 25 ათასი ლაზერული ქირურგიული ოპერაციაა. გვიხსნის, რომ ლაზერული ქირურგია თანამედროვე და აქტუალურია ოფთალმოლოგიაში.

“არსებობს თვალის ბადურის ჩამოშლის საშიშროება და სწორედ ამ დროს ვმკურნალობთ ლაზერით. თვალის ბადურის ჩამოშლა იწვევს სიბრმავეს. გვაქვს სპეციალური დანადგარები და მათი მეშვეობით ვახდენთ მკურნალობას. ლაზერით მკურნალობა ორმხრივია. ერთი, რომელზეც მე ვმუშაობ, არის ცენტრალური ზონის მკურნალობა და მეორე, თვალის პერიფერიული მკურნალობა. ორივე შემთხვევაში, ვცდილობთ, ბადურა არ ჩამოიშალოს. ხშირად, პროფილაქტიკის მიზნით, ვნახულობთ პაციენტს და თუ საჭიროა, ლაზერულ ოპერაციას ვაკეთებთ. ოპერაცია, ცხადია, უმტკივნეულოა, რადგან თვალს უმტკივნეულო რეცეპტორები აქვს. ასე რომ არ იყოს, წარმოიდგინეთ, ერთდროულად 3-5 ათასი ლაზერი იდება თვალზე და ხდება მისი მოწვა.

დღესდღეობით, მხედველობის დაკარგვის უპირველეს მიზეზს გლაუკომა წარმოადგენს. მეორე ადგილზე დიაბეტური, ხოლო მესამეზე _ ასაკობრივი დაავადებებია, რომელიც თვალის ბადურის დისტროფიას, დეგენერაციას იწვევს. ის, რომ იმატა მხედველობასთან დაკავშირებულმა პრობლემებმა ჯერ კიდევ ადრეულ ასაკში, ვფიქრობ, ეს მაინც თანამედროვე ტექნოლოგიების ბრალია. ასევე, ეკოლოგიის, კვების, ავიტამინოზის”. _ საინტერესო საკითხებში გვარკვევს ქირურგი.

ბატონი ნუგზარის მეუღლე, ხათუნა კაჭახიძეც ექიმია. სამი შვილის დედამ უპირატესობა ბავშვების აღზრდას მიანიჭა და თავისი პროფესიით ვერა, მაგრამ ფარმაკოლოგიაში მუშაობა შეძლო. უფროსი ვაჟი, ვიანორი, მამის მსგავსად, ექიმია და თვალის სპეციალიზაციას ეუფლება. მისი მეუღლე ქველმოქმედი ადამიანის, ბატონი გია შენგელიას შვილი, ლანა შენგელიაა. მეორე ვაჟმა გიორგიმ ბაუმანის სახელობის უნივერსიტეტი დაამთავრა და მოსკოვში ერთერთ საინჟინრო ორგანიზაციაში მუშაობს. უმცროსი ქალიშვილი ნინო სამედიცინო ინსტიტუტში სტომატოლოგის სპეციალობას ეუფლება.

კარგი შვილები მყავსო, ბატონმა ნუგზარმა, მაგრამ გული სწყდება, რომ ისინი სამშობლოში არ გაიზარდნენ; ყოველდღიურად ვერ ხედავდნენ იმ ნათესაურ თუ მეგობრულ დამოკიდებულებას, აქ რომ არსებობს, იმ სამყაროს, რომელსაც საქართველო ჰქვია. “ჩემი შვილები მოსკოველი ქართველები არიან. უცხო ქვეყანაში კი, გინდა, არ გინდა, როგორადაც არ უნდა შეინახო ენა, ზნე, ხასიათი მაინც იცვლება.” _ გვეუბნება იგი.

დედის გარდაცვალებამდე ჩვენი რესპონდენტი ყოველწლიურად სტუმრობდა სამტრედიას. მისი შვილები კი მთელ ზაფხულს აქ ატარებდნენ. ნაადრევად გამოგვეცალა ხელიდანო, ამბობს დედაზე. ეგონა, მთელი ცხოვრება მის გვერდით იქნებოდა იგი. “ჩვენსა და დედას შორის ასაკობრივი სხვაობა ძალიან მცირე იყო და ვმეგობრობდით მასთან. მამა 54 წლის იყო, ამ ქვეყნიდან რომ წავიდა.” _ გვითხრა მან.

ჩვენს სისტემაში ქართველებს რუსეთში თავისი ნიშა აქვთო, _ დასძენს”. რუსებმაც იციან, რომ ქართველები კარგი ექიმები არიან. სამწუხაროდ, ბოლო 20 წელია, მატება არ არის. ასე რომ ყოფილიყო, მთელი სფერო ჩვენი იქნებოდა. ძალიან ბევრი პროფესორი წარმოშობით ქართველია. ზელენოგრადის თვალის ცენტრსაც წარმოშობით დიდი ჯიხაიშელი ვასიკო კოხრეიძე ხელმძღვანელობს. 20 წლის წინ ფიოდოროვის ინსტიტუტში რომ შეხვიდოდი, ქართული სახეები მრავლად გხვდებოდა, ახლა ქართველ სტუდენტთა რაოდენობა შემცირდა. შემცირდნენ ასპირანტები, ექიმები. საზღვრის ჩაკეტვამ გამოიწვია ის, რომ სასწავლებლად აღარ ჩამოდიან რუსეთში.

მოსკოვი კოსმოპოლიტური ქალაქი გახდა. ბევრი არარუსი შემოვიდა საბჭოთა კავშირის დანგრევის შემდეგ, ამდენად, ეროვნებაზე აქცენტი იქ თითქმის არ კეთდება. სამუშაოს მაძიებელი ქართველები რუსეთში აღარ არიან. იყო დრო, ტაქსს რომ გააჩერებდი, მძღოლი აუცილებლად ქართველი აღმოჩნდებოდა. ახლა ქუჩაში ქართველს ვერ ნახავ.

როგორც ჩვენი რესპონდენტი გვარწმუნებს, იქ არც პოლიტიკაზე სასაუბროდ სცალია ვინმეს. ახალგაზრდები დაგვინიან, უფროსებმა თუ პოლიტიკაზე საუბარი დავიწყეთო. _ ბატონმა ნუგზარმა.

ცნობილი ექიმის მეგობრები უმეტესად ქართველები და ამასთან, მისი თანაკლასელები არიან: რეზო სულაქველიძე, თემურ ცომაია, ცნობილი ადვოკატი იგორ ბახტიაროვი. ისინი ყველგან ერთად დადიან, ამიტომაც, სადაც კი გამოჩნდებიან, სამტრედიელები მოვიდნენო, ამბობენ მათზე. არ უყვარს, როცა ქართველების შეკრებაზე სუფრასთან სხვა ეროვნების ადამიანს მიიწვევენ. ასეთ შემთხვევაში უკვე რუსულად მიწევს საუბარი, მე კი მინდა, რომ მხოლოდ ქართულად ვლაპარაკობდეთო.

ბატონი ნუგზარის შვილების მეგობრები კი, არა ქართველები, უმეტესად სხვა ეროვნებისანი არიან. მეგობრობას ნაციონალობა არა აქვსო, გვარწმუნებს.

ნადარეიშვილების სახლის კარი ყოველთვის ღია იყო საქართველოდან ჩასული ადამიანებისთვის. ზოგჯერ ჩემი ადგილიც აღარ რჩებოდა, _ ამბობს ღიმილით.

ბოლოს, 2006 წელს იმყოფებოდა ბატონი ნუგზარი საქართველოში, საქართველოს მოქალაქეობაც მაშინ მიიღო. მოსწონს, რომ ბევრი თვალში საცემი ცვლილებაა და ეს საზღვარზე შემოსვლისთანავე იგრძნობა. ბატონ ნუგზარს აქ ყოველთვის ელოდება ბევრი ნათესავი და ახლობელი. ქალბატონი ნატალიასთვისაც დიდი სიხარულია ძმის ყოველი ჩამოსვლა საქართველოში. მას შემდეგ, რაც თბილისში გადავიდა საცხოვრებლად ოჯახით, სამტრედიაში უკვე ისიც სტუმარია. წლების წინ, პროფესიით ტექნოლოგი, სამტრედიის საკონსერვო ქარხანაში ლაბორანტად მუშაობდა. მასაც ორი შვილი ჰყავს _ ნინო ფარმაცევტია, პეტრე ენერგეტიკოსი.

ამ წერილის გაზეთში გამოქვეყნებამდე სამტრედიის სიყვარულით ერთხელ კიდევ ნაკვები ნუგზარ ნადარეიშვილი მოსკოვში დაბრუნდა, პატარა ქალაქიდან, რომლის შესახებ როგორც იხსენებს, თურმე იმ დიდ ქალაქშიც იციან: “ერთხელ ერთმა რუსმა პროფესორმა პირველ სამედიცინო ინსტიტუტში მკითხა, საქართველოში სად ვცხოვრობდი. ვიფიქრე, სამტრედია არ ეცოდინება-მეთქი და “ოოლო ქუთაისი”-თქო ვუთხარი. კარგა ხნის შემდეგ, როცა გაიგო, რომ სამტრედიელი ვიყავი, მითხრა, ქუთაისთან ახლოს რატომ თქვი, სამტრედია ეს სულ სხვააო.”

ჩვენი მეგობარი ოსი პოეტი

ლევან გაბეჩავა

“1986 წელია, ჩვენ საბჭოთა კავშირის მწერალთა ყრილობაზე ვართ. რუსი გამომსვლელის მიერ გაიჟღერა აბზაცმა, სადაც ივი მხარს უჭერდა ქართველი ერის შეურაცხმყოფელის _ ასტაფიევის კონკრეტულ მოსაზრებას.

დარბაზში ჩოჩქოლი ატყდა. ქართველი მწერლები წამოვდექით და დარბაზიდან გამოვედით. ამ დროს ხმა გვესმის შორიდან, რუსულად გაჭიყვის ვიღაც: ძმებო, მეც თქვენთან ვარ, ძვირფასო მეგობრებო! ყვიროდა და ჩვენსკენ მოიჩქაროდა. ეს იყო ოსი პოეტი და მეცნიერი ნაფი ჯუსოითი”.

იგონებს ერთგან ბატონი ჯანსუღ ჩარკვიანი და ამ სიტყვებით ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ როგორც ყველა ქართველი, ყველა ოსიც არ აზროვნებდა ერთნაირად. განსაკუთრებით მაშინ, როცა ოსებმა ქართველების წინაშე ხელი აღმართეს და სისხლი დაიღვარა.

ორიოდე თვის წინ ბატონ ნაფი ჯუსოითს 90 წელი შეუსრულდა. ქართველმა ინტელიგენციამ სიყვარულით მიულოცა მხცოვან კალმოსანს იუბილე და ხანგრძლივი სიცოცხლე უსურვა.

დღეს, ეროვნებით ოს პოეტს, ჩვენი გაზეთის ერთგულ მეგობარს ბატონ მიხეილ ბულკათს გავიხსენებთ, ქართველებზე ნაკლებ რომ არ აღელვებდა ქართულ-ოსური წერტილდაუსმელი კონფლიქტი.

ახმეტის რაიონში, სოფელ ჩორექაულში დაიბადა 1928 წელს.

რკინიგზის ინჟინერთა ინსტიტუტის დამთავრებიდან, 1956 წლიდან თითქმის სიცოცხლის ბოლომდე მუშაობდა რკინიგზის სამტრედიის განყოფილებაში ინჟინრად.

ბატონმა მიხეილმა ოსურ ენაზე თარგმნა კონსტანტინე გამსახურდიას “დიდოსტატის მარჯვენა”, ოსურიდან ქართულად და პირიქით თარგმნა არაერთი ლექსი. თავადაც გახლდათ რამდენიმე კრებულის ავტორი.

1974-85 წლებში სამტრედიაში ლიტერატურულ გაერთიანებასაც ხელმძღვანელობდა და ლიტერატურული საღამოებიც ხშირად ჩატარებულა მისი უშუალო თაოსნობითა და მონაწილეობით, რაც ახალგაზრდა შემოქმედთა გამოვლენა-წახალისებას უწყობდა ხელს.

ბატონი მიხეილი წლების მანძილზე თანამშრომლობდა რაიონულ და ცენტრალურ გაზეთებთან.

...ცხოვრებაში ოსები ქართველს, ქართველები _ ოსს ეძახდნენ. ორივე ხალხი უყვარდა, ორივე ხალხის ზნემართალი შვილი იყო. ოთახში ერთ კედელზე კოსტა ხეთაგუროვის სურათი ეკიდა, მეორეზე _ რუსთაველისა და ვაჟასი.

“წავიდა ჩვენგან გულგახეთქილი “ღრმა ოსი” (ქართველთა შეფასებით).

წავიდა ჩვენგან გულგახეთქილი “ქართველი” (ოსების შეფასებით).

წავიდა ჩვენგან ორივეს _ ქართველებისა და ოსების ბედზე მოფიქრალი, მწუხარი, მტირალი შესანიშნავი ლიტერატორი და დიდებული საზოგადო მოღვაწე ბატონი მიხეილ ბულკათი” _ ამ სიტყვებით გამოეთხოვა ქართველ მეგობართა ერთი ჯგუფი მეგობარ ოს პოეტს 1993 წელს.

როგორც ვთქვით, ბატონ მიხეილს უახლოესი ურთიერთობა აკავშირებდა რაიონულ გაზეთთან, მის შემოქმედებით ჯგუფთან. მახსოვს, რედაქციაში ახლადმოსულს, ბატონების მიხეილ ბულკათის, გენო გეგეშიძისა და ოთარ შანიძის ხშირი, საქმიანი სტუმრობა.

საამო იყო სასმენად მათი ბჭობა, ერისკაცთა საღი აზრი იკვეთებოდა ყოველი მათი ნაბრძანებიდან.

“სამტრედიის მაცნემაც” დაიტირა გულწრფელად ჩვენი მეგობარი ოსი პოეტი. გაზეთის მოახლოებულ იუბილესთან დაკავშირებით გავიხსენეთ, ბატონი მიხეილ ბულკათი.

ნათელში იყოს!

სურათზე, რომელიც გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში ბატონ რომან ბექაიას მიერაა გადაღებული, აღბეჭდილნი არიან: წინა პლანზე, მარცხნიდან _ ოთარ შანიძე, მიხეილ ბულკათი, შალვა გოგავა.

პროფესიულ დღესასწაულს, სკოლის იუბილეს გილოცავთ!

ლევან გაბეჩავა

ოქტომბრის დასაწყისში ქართველი პედაგოგები პროფესიულ დღეს აღნიშნავენ.

წელს 140 წელი სრულდება დიდ ჯიხაიშში, ყაზბეგის უბანში სკოლის დაარსებიდან.

დიდი ჯიხაიშის ალექსანდრე ყაზბეგის სახელობის სკოლა, როგორც ყოველთვის, ბატონ ზურაბ ფანცულაიას დირექტორობის პერიოდშიც მნიშვნელოვან წარმატებებს აღწევდა.

მოსწავლეები მონაწილეობდნენ სასწავლო საგნობრივ შემოქმედებით კონფერენციებში.

სასწავლო ხასიათის ექსკურსიები, შემეცნებით-გასართობი, სპორტული ღონისძიებები მოსწავლეთა სრულქმნილ მოქალაქეებად აღზრდას ემსახურებოდა.

არ გადავაჭარბებ თუ ვიტყვი, რომ სკოლის პედაგოგიური კოლექტივი ერთ მჭიდროდ შეკრულ ოჯახს წარმოადგენდა.

ყველა ერთის, ერთი ყველას სიხარულით ხარობდა, თანაბრად იზიარებდნენ ერთმანეთის სატკივარსაც.

სურათი, რომელზედაც ყაზბეგის სკოლის პედაგოგები არიან აღბეჭდილნი, 1988 წლის 5 ოქტომბერს, ოთხშაბათს დილასაა გადაღებული ფოტოგრაფ ჯანიკო ბზიკაძის მიერ.

ფოტოზე აღბეჭდილთაგან თითოეულმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა მოზარდი თაობის აღზრდის საქმეში.

დასანანია, რომ ქალბატონები გოგუცა კოხრეიძე, გუგული მჟავია, გულნარა რუხაძე გარდაცვლილები არიან, ბევრნი კვლავ აგრძელებენ პედაგოგიურ მოღვაწეობას, ზოგნი კი პენსიაზე იმყოფებიან.

ფოტოზე, ზედა რიგში მარჯვნიდან: მიხეილ ჯიქიძე, შუქრი ურუშაძე _ სასწავლო ნაწილის გამგე, ზურაბ ფანცულაია _ სკოლის დირექტორი, ლევან გაბეჩავა _ მასობრივი მუშაობის ორგანიზატორი; მეორე რიგში: ვენერა კაჭახიძე, გოგუცა კოხრეიძე, გუგული მჟავია, სესილი კაპანაძე; მესამე რიგში მანანა რუსია, მარინე ბზიკაძე; პირველ რიგში: გულნარა რუხაძე, შორენა ჯიქიძე, ლია ჭელიძე.

აქვე ვაქვეყნებთ მეორე ფოტოსაც, რომელიც 1989 წელსაა გადაღებული. მასზე აღბეჭდილნი არიან სკოლის ისტორიის, ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი მურად გელეიშვილი მის სადამრიგებლო მეექვსე კლასის მოსწავლეებთან ერთად.

როგორც ვთქვით, წელს 140 წელი სრულდება ყაზბეგის უბანში სკოლის დაარსებიდან, ამასთან დაკავშირებით უდიდესი პატივისცემითა და სიყვარულით მინდა გავიხსენო სკოლის ყოფილი პედაგოგები, რომლებთანაც ერთად მომიწია მუშაობა და დღეს ამქვეყნად აღარ არიან: გიორგი (ბუჭა) ლეჟავა, ვენერა ახალაძე, თინა ნუცუბიძე, ევგენ ჯიქიძე, ანზორ ბაღდავაძე, იამზე კახიანი, ვახტანგ ერისთავი, ტექნიკური მუშაკები: რეზო დიდიძე, გრიგოლ სანაძე, ჟორა დევიძე, ირა შოვნაძე-დიდიძე.

იუბილეს ვულოცავ ღვაწლმოსილ, პენსიონერ პედაგოგებს, ქალბატონებს ვენერა კაჭახიძეს, სესილი კაპანაძეს, შორენა ჯიქიძეს. ბატონებს: მიხეილ, კარლო ჯიქიძეებს, სკოლის ყოფილ ტექნიკურ მუშაკებს, ქალბატონ ნელი ნუცუბიძეს, ბატონ გურამ ხარაბაძეს.

დაბოლოს, სკოლის დაარსების 140-ე წლისთავს ვულოცავთ ყაზბეგის სკოლის პედაგოგიურ და მოსწავლეთა კოლექტივს, წარმატებებს ვუსურვებ მათ სწავლასა და პროფესიულ საქმიანობაში.

რას გვაძლევს სკოლა?

პასუხი მარტივი და სამწუხაროდ, ცალსახაა _ ბევრს ვერაფერს?!

რატომ?

იმიტომ, რომ დამამთავრებელ კლასელთა აბსოლუტური უმრავლესობა, კერძოდ, ის კატეგორია, უმაღლეს სასწავლებლებში რომ აქვთ სწავლის გაგრძელება გადაწყვეტილი, საფუძვლიანი ცოდნის მისაღებად კერძო მასწავლებლებთან დადის.

ისმის კითხვა: მაშ, სკოლები რას აკეთებენ, რა ხდება სკოლებში?

უფრო მეტიც, ბოლო ხანებში გახშირდა ფაქტები, როცა მედალოსნები ვერ ხვდებიან უმაღლეს სასწავლებლებში.

რაშია საქმე, მაშ, რატომ გაიცა მედალი?

კი ვიცით, დღეს მედალოსანი სხვა სტანდარტს უნდა აკმაყოფილებდეს და მედლის მინიჭებაც, ასე თუ ისე, გაიოლდა, მაგრამ, სხვა თუ არა, არ ესმის კარგად ყურს და ბევრ პასუხგაუცემელ კითხვასაც ბადებს შემთხვევა, როცა მედალოსანი მისაღებ გამოცდაზე იჭრება, სკოლიდან უჯილდოდ წასულები კი სტუდენტობას ზეიმობენ.

და მაინც, რა კრიტერიუმით ფასდება სკოლა?

კარგი შენობით?

ევრორემონტით?

თანამედროვე ინვენტარით?

ხშირი ღონისძიებებითა და გულუხვი, ხორაგისაგან ჩაზნექილი მაგიდებით?

სწავლისა და სწავლების მაღალი ხარისხით?

ჩემი სუბიექტური აზრით, ყველაზე მთავარი სწავლისა და სწავლების ხარისხია სკოლებში, სხვა დანარჩენი კი _ მაზე ზედნადები.

რატომ?

ფარღალალა სკოლის კედლებში მიიღეს თავის დროზე განათლება აკაკი შანიძემ, ანდრია რაზმაძემ... მაგრამ გადატრიალება მოახდინეს, მეცნიერებაში სრულიად ახალი მიმართულებების მამამთავრები გახდნენ.

არ გვგონია მაგალითისათვის მოხმობილ სულკურთხეულ მეცნიერთა მშობლებს, პედაგოგებს თავსატეხი იმაზე ჰქონოდათ, ნამცხვრის, სალათების რა სახეობა მიეტანათ სკოლებში უბრალოდ იმისთვის, რომ მათი შვილების ცეკვა, სიმღერა ეხილათ ამა თუ იმ ღონისძიებებზე.

რას ჰქვია წარმატებული, ბრენდირებული სკოლა, როცა ამ სკოლის უფროსკლასელთა ნახევარი თუ არა, ერთი მესამედი კერძო მასწავლებელთან დადის და სკოლისაგან ვერ ღებულობს სათანადო ცოდნას?

ფიქსირდება შემთხვევები, როცა კერძო მასწავლებლებს თითოეულ ჯგუფში მეტი მოსწავლე უზის, ვიდრე რომელიმე კონკრეტული სკოლის რომელიმე საფინანსო კლასში?!

ბევრი რიტორიკა არაა საჭირო, გამგები ნათქვამს გაიგებს, არა სიახლეს, უკვე მოდათ თუ ტრადიციად ქცეულს, მაგრამ თუ ასე გაგრძელდა, საქმე უარესად იქნება.

ერთი საკითხიც, გასულხართ ქალაქში 11-12 საათზე და გინახავთ მაღალკლასელებით გადაჭედილი ქალაქი? უეჭველად, ღმერთმა ამრავლონ ისინი, მაგრამ სად უნდა იყოს IX-X-XI-XII კლასელი 12 საათზე?

ქუჩაში?

სკოლაში?

წერილის დაწერა კარგ ნაცნობთან შეხვედრამ განაპირობა, უფრო სწორად, მისმა სატკივარმა _ ბავშვს ხუთ საგანში ვამზადებ და სად ჯანდაბაში ვიშოვო ფულიო, რომ წუხდა.

მოწინავეთა რიგებში ასახელებენ იმ ბავშვის სკოლას?!

არ ღირს საკითხი დასაფიქრებლად?

საგანგაშოა ყოველივე!!!

ლევან გაბეჩავა

მასწავლებელო, გისმენთ!

26 წელია საოცარი სითბოთი სწორედ ამ სიტყვებით ესალმებიან მოსწავლეები ქალბატონ მადონა (ვენერა) კაცაძეს.

კორმაღლისა და დაფნარის საჯარო სკოლების შემდეგ, დღემდე ქალაქის მეცხრე საჯარო სკოლაში ასწავლის გერმანულ ენას.

მერე რა, რომ ეს უცხო ენა კვირაში მხოლოდ ორი აკადემიური საათითაა შემოფარგლული, იყო დრო, როცა პრესტიჟულ უცხო ენათა შორის იყო გერმანული, მაგრამ...

ბევრი ტკივილი გადაიტანა ქალბატონმა მადონამ.

სრულიად ახალგაზრდა დაქვრივდა. ახალგაზრდა მეუღლე ავღანეთში რომ დაეღუპა, ერთადერთი ვაჟიშვილი ლაშა წლისა და 4 თვის იყო. დედის იმედად გაიზარდა დედისერთა, დაოჯახდა კიდეც. ჭერი სიხარულით მაღლა აიწია, თუმცა...

2008 წლის აგვისტოს მოვლენებს სხვა ღირსეულ ქართველებთან ერთად ლაშა თევზაძეც ემსხვერპლა. 4 თვის იყო მაშინ პატარა საბა-ლაშას პირმშო, სიხარული და იმედი. გმირის შვილი, 7 წლის საბა თევზაძე ამჯერად თბილისის ერთ-ერთ სკოლაში სწავლობს.

თავსგადამხდარ ტრაგედიათა მიუხედავად, ქალბატონი მადონა საკუთარ თაჯზე ამაღლდა. რძლისა და შვილიშვილის სანუგეშოდ, იმედად ძალები მოიკრიბა და კვლავ მათთვის იღვწინთება სანთელივით, მათი არსებობა ასულდგმულებს.

დღეს უკვე ღვაწლმოსილი პედაგოგი სიამაყით იგონებს მის გზამკვლევ პედაგოგებს, ქალბატონებს მზია მიქელთაძეს, ლია თევზაძეს, რომელთაც დიდი წვლილი შეიტანეს მისი, როგორც პედაგოგის პროფესიულ დახელოვნებაში.

მრავალი ღირსეული თაობის აღმზრდელ ქალბატონს არც მოწინავე მოსწავლეები დავიწყნია, სხვადასხვა წლებში რომ უსწავლებია: ლევან ზაქრაძე, გრიგოლ თევზაძე, თეა ზაქრაძე... ბევრნი არიან ისინი, მადონა მასწავლებლის ამაგს, მშობლიურ სითბოს რომ არ ივიწყებენ.

ქალბატონი მადონა შეთავსებით სათნოების სახლში ფსიქოლოგად მუშაობს, უყვარს სათნო მოხუცები, მოხუცებსაც ეიმედებათ მათზე მზრუნველი მრავალჭირნანახი ქალბატონი.

ეს-ესაა განახლდა სასწავლო პროცესი.

ამ დღეებში ქართველი პედაგოგები პროფესიულ დღეს აღნიშნავენ. ვისარგებლეთ რედაქციაში ქალბატონი მადონას შემთხვევითი სტუმრობით, მასთან ხანმოკლე საუბრით პატივისცემით ვულოცავთ ღვაწლმოსილ პედაგოგს მასწავლებლის დღეს, ყოველივე საუკეთესოს ვუსურვებთ მას.

145 წლის ქალაქ სამტრედიის ერთ-ერთი შედარებით ახალი ქუჩა ლაშა თევზაძის სახელობისაა, იმ ლაშა თევზაძისა, 2008 წლის აგვისტოს მოვლენებს რომ შეეწირა; იმ ლაშა თევზაძისა, რომლის დედაც გახლავთ ჩვენი რესპონდენტი.

ლევან გაბეჩავა

ჩემო პაატა!

შვილის მერე მასწავლებლისთვის ყველაზე დიდი სიხარული ყოფილი მოსწავლის წარმატებაა. ვერ წარმოიდგენ, რამხელა სიხარული მომანიჭა ნინო ნანიტაშვილის სტატიამ "ვიცი, თქვენ სამტრედია გაინტერესებთ", რომლის ადრესატიც შენა ხარ, ჩემო პაატა. მონატრებული სალამი შენ ჩემგან და დიდი და საუკეთესო სურვილები.

ლამაზ, დინჯ, ჩამოყალიბებულ ბიჭს რომ შორს მიმავალი და სერიოზული გეგმები გქონდა ვიცოდი, მაგრამ მეცნიერებას თუ ასე წარმატებულად დალაშქრავდი, დედასამშობლოს სატკივარს მტლად დაედებოდი და, რაც მთავარია, პანაცეას მიაგნებდი, მართალი გითხრა, არ მეგონა.

დაფიქრება, ათასგზის აწონ-დაწონა, გაზომვა, შეჯერება, ბევრი უძილო ღამე, ნაბიჯ-ნაბიჯ მიზანთან მიახლოება იყო ალბათ შენი აღმოჩენის _ გრუნტის წყლის მიზეზიც და მიზანიც. შენ შესანიშნავ თეორიას გვთავაზობ, ხორცის შესხმა კი აღამსრულებელი ხელისუფლების პრეროგატივაა.

იცი, კიდევ რამ გამახარა ჩემო პაატა? რომ ჩვენ სკოლას კიდევ ერთი საამაყო სახელი შემატე შენი სახით. რომ გააცოცხლე რწმენა "კიდევაც დაიზრდებიან ალგეთს ლეკვები მგლისანი". რომ დღევანდელ რეალობაში, მგლადქცეულ საზოგადოებაში, ჩვენს სისხლში კვლავ ფეთქავს ქართული გენი, მოყვასის სიყვარული და რწმენა იმისა, რომ საქართველო ის ფესვმაგარი მუხაა, რომელიც იძარცვება, მაგრამ კვლავ იფოთლება.

გეხვევი და გკოცნი.

ვენი მასწავლებელი ქუქუნა ფრანგიშვილი
№ 10 საჯარო სკოლა

შოთა ჯაჯავა

სოხუმში სხვანაირად ამოდის მზე...

1993 წლის 27 სექტემბერს სოხუმი დაეცა. ლურჯი ზღვის სანაპიროზე ტკივილად დარჩა ქართველთა და აფხაზთა თანაცხოვრების დაუვიწყარი წლები. მაშინ დრო გაჩერდა. დღემდე ლამობენ, იმ წამიდან გაგრძელდეს ყველაფერი, იმედს არ კარგავენ უკან დაბრუნებისა. ვალიდა კაცაძე-კოხრეიძე აფხაზეთზე უცრემლოდ ვერ საუბრობს. ამით იგი ნამდვილად ჰგავს სხვებს, მაგრამ ბევრით განსხვავდება იმათგან, მხოლოდ სიტყვებში რომ ატევენ გულისწყვეტას, კვლავ დაბრუნების გრძნობას.

ცხოვრებისა და გულის დიდი ნაწილი იქაა. ქალბატონ ვალიდასთან საუბრისას უსათუოდ მოგაგონდებათ დიდი ქართველი პოეტის, შოთა ნიშნიანიძის "აფხაზური კანტატა". მისთვის, "მკერდმოჭრილ ამორძალად" დატოვებულის სევდა ყოველდღიურობაა და XXI საუკუნის ახალგაზრდობის სიტყვები, "მენატრება ის, რაც არ მინახავს", იმედი. ნეტავ, როგორაა ჩემი ბავშვობის ტკბილი მოგონება? _ კითხვა, რომელიც სულს უფორიაქებს, წარსულში აბრუნებს, ტკივილს ჰგვრის...

"აფხაზეთი ყველას მოუშუშებელი ჭრილობაა, განსაკუთრებით კი მათი, ვინც იგი დატოვა. დაბრუნების იმედით ვცოცხლობ, მაგრამ რამდენად ახლობელია ამის პერსპექტივა, სამწუხაროდ, არ ვიცი. ულამაზესად ვთვლი ჩემს ბავშვობას, სოხუმში გატარებულ წლებს. სხვადასხვა ეროვნების ადამიანებთან ცხოვრება არათუ დისკომფორტის, არამედ უსაზღვრო სიამოვნების მომტანი იყო ჩვენთვის.

ზაფხულში ხშირი სტუმრიანობა გვქონდა. ჩამოდიოდნენ დასავლეთიდან, ახლო-მახლო სოფლებიდან. იყო შემთხვევები, თუ საკმარისი ოთახი ან საწოლი არ გვექნებოდა, ჩამოსულთ მეზობლებთან ვათევინებდით ღამეს. ეს ჩვეულებრივ მოვლენად მიგვაჩნდა და ვერ წარმოგვედგინა, რომ ქართველსა და აფხაზს შორის რაიმე ზღვარი ყოფილიყო.

დედულ-მამული იმერეთში მაქვს. მამა 1956 წელს წასულა სოხუმში სამუშაოდ, დაოჯახების შემდეგ დედაც თან გაჰყოლია. საჯავახოსა და ნიგორზღვაში ბებია-ბაბუას ვსტუმრობდი.

სოხუმის მე-17 საშუალო სკოლაში ვსწავლობდი. ქართულ და რუსულ სექტორებზე, სულ, 1900-მდე მოსწავლე ვიყავით.

რესპუბლიკურ და საქალაქო მასშტაბის ღონისძიებებში დიდი ენთუზიაზმით ვმონაწილეობდით. უნდა აღვნიშნო, მიუხედავად ყველაფრისა, მსგავსი შეხვედრების წამყვანი ძალა მუდამ ქართველები იყვნენ. ზაფხულის მოახლოება ზეიმად იქცეოდა ხოლმე. ზღვისპირა ქალაქს სტუმრობდნენ სახელოვანი ქართველი მწერლები, მსახიობები, საზოგადო მოღვაწეები, ისინი, ვინც მხოლოდ ფოტოებზე ან სარეკლამო აფიშებზე გვენახა. რუსთაველის, მარჯანიშვილის თეატრების დასები, მათი რეპერტუარი, გენიალური არტისტები... ერთი სიტყვით, ბევრჯერ მოვინატრებ იმ დროს.

ჩვენი სახლი რკინიგზის სადგურის უკან, ჭოჭუას ქუჩაზე მდებარეობდა. ღამით მეზობლებთან ერთად გავდიოდით ბაქანზე და თბილისისკენ მიმავალ მსახიობთა ვაგონებს ვუყურებდით. როგორი ბედნიერები ვიყავით მაშინ!

რა დამავიწყებს ჩემს პედაგოგებს: ირა კუპრავას, შოთა ჯანჯღავას, მანიკო გოგიაშვილს, მიშა ჯოჯუას, ბაბილინა ბაკურაძეს. ისტორიას გვასწავლიდა ბრწყინვალე პიროვნება და პროფესიონალი გივი კუპრავა, რომელმაც კიდით კიდემდე შემოგვატარა მთელი საქართველო.

> ~ზოგჯერ მინდა, ხმამაღლა ვიძახო, თუ როგორ მენატრება აფხაზეთი, სამეზობლო, სახლი... სიზმრად ნანახის აცხადებას ვნატრობ, იმედია, ფუჭად არა.

მენანება, ბევრს არც უნახავს ჩემი აფხაზეთი. ეშერის, კოდორის ხეობები, თამარის ხიდი სოფელ ბესლეთში. რომელი ერთი ჩამოვთვალო!" _ იგონებს ქალბატონი ვალიდა.

სკოლის წარჩინებით დასრულების შემდეგ, იგი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი ხდება.

"აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტზე ვსწავლობდი. მოგვიანებით, ოჯახური პირობების გამო, ქუთაისის პედაგოგიურ ინსტიტუტში მომიწია გადმოსვლა. კვლავ სოხუმთან მივყავარ ცხოვრების საუკეთესო ეპიზოდების მოგონებას. სამივე შვილი იქ შემეძინა, დედობის ტკბილი ხვედრიც იქ განვიცადე. მაგრამ, ბედნიერება, რაგვარიც უნდა იყოს, ვის შერჩენია ბოლომდე.



გასული საუკუნის 90-იან წლებში, როცა ქართველები და აფხაზები ერთმანეთს დაუპირისპირდნენ, სოხუმში ვიყავი. ეს იყო ჯერ არნახული მომენტი; არავინ იცოდა, რა ხდებოდა, მანქანები არანორმალური სიჩქარით გარბოდნენ გუდაუთისა და ათონის მხარეს. რამდენიმე დღე საზღვარი ჩაკეტილი იყო, თუმცა მალე გამოვედით სამშვიდობოს.

1992 წლის მოვლენებისას, ჩემი მეუღლე და ვაჟი იქ გახლდნენ. არეულობის შესახებ სამტრედიაშიც შევიტყვეთ. იბრძოდნენ ასაკის განურჩევლად, თანაკლასელები, მათი მშობლები...

უფლის წყალობით, ქმარ-შვილი უვნებლად დამიბრუნდა. რამდენიმე ხნის შემდეგ გამოცხადდა, რომ სამსახურები აღდგა. ჩემმა დამ, იმჟამად სოხუმის თეატრის კადრების უფროსმა, გადაწყვიტა წასულიყო. წინააღმდეგობით ვერაფერს გავხდით...

იმ დღეების გადმოცემა ძალიან მიჭირს. არ ვიცოდით, სად იყო, როცა სოხუმი იბომბებოდა, როცა გავიგეთ, რომ აჩადარაში შემოსულნი იყვნენ მოწინააღმდეგის ჯარები. ცნობამ სადგურის აღების შესახებ უკანასკნელი იმედი გადამიწურა.

27 სექტემბრის დილას ჩემთან მოვარდა მეზობელი და მითხრა: _ ვალიდა დეიდა, თქვენი და მოდის, ნინო მოდისო. გარდაცვლილი გამიცოცხლდა, ვიღაცის დახმარებით ბოლო გემზე მოხვედრილა იგი, სწორედ იმ გემზე, რომლის პორტიდან გამოსვლის კადრების ხილვა ჟრუანტელს მგვრის: ძაღლი მისდევს პატრონს, გრძნობს მოახლოებულ საშინელებას...

ზოგჯერ მინდა, ხმამაღლა ვიძახო, თუ როგორ მენატრება აფხაზეთი, სამეზობლო, სახლი... ორი წლის წინ, თბილისში, ერთ-ერთ საავადმყოფოში მომიწია მისვლა. პალატაში მყოფმა, აფხაზურ კილოზე მოსაუბრე ქალის ხმა გავიგონე. ყელში ბურთად მომაწვა დაგროვილი ემოცია, თავი ვერ შევიკავე, მივედი მასთან და სადაურობა ვკითხე. ჩვენს მახლობელ ქუჩაზე უცხოვრია. ვილაპარაკეთ, საერთო ნაცნობებიც მრავლად აღმოგვაჩნდა. კმაყოფილი დავრჩი, სახლში მისულს მეგონა, სოხუმში ვიყავი და იქაურებთან მქონდა ურთიერთობა. სიზმრად ნანახის აცხადებას ვნატრობ, იმედია, ფუჭად არა." _ დასძენს ჩვენი რესპონდენტი.

1989 წლიდან ქალბატონი ვალიდა ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგად იწყებს მუშაობას ქალაქის ყოფილ მე-14 საშუალო (ამჟამად მე-12 საჯარო) სკოლაში. მადლიერების გრძნობით საუბრობს კოლეგა ქალბატონებზე. მისი თქმით, იზო ცომაია, მზია ბაღდავაძე და ლია ნიკურაძე ის ადამიანები არიან, დამწყებ ფილოლოგს რომ დაეხმარნენ, გამოცდილება გაუზიარეს.

საუბრისას ქალბატონი ლია შემოგვესწრო. "მე და ვალიდა ერთი თაობა ვართ. ერთ საქმეს ვემსახურებით და, გარდა იმისა, რომ კოლეგები გვქვია, ოჯახებითაც ვმეგობრობთ. ერთმანეთის ჭირსა და ლხინს ვიზიარებთ. ის დასაფასებელი ქალბატონია. საუკეთესო მეუღლე, დედა, და, დედამთილი, მეზობელი, მეგობარი... უპირველესად "ლამაზად შვილების გამზრდელი დედაა"; სამი ძალიან თბილი და მოსიყვარულე ვაჟკაცის დედა. საერთოდ, მთელი ოჯახი სითბოს, სიყვარულისა და სიკეთის გამცემია. ქალბატონი ვალიდა სერტიფიცირებული პედაგოგია, სამართლიანი, ბავშვებზე მოამაგე; ულალატო და ერთგული ადამიანია, რომლის იმედი ყოველთვის შეიძლება გქონდეს.

აფხაზეთი მისი დიდი ტკივილია... ბუნებრივია, იქ გაიზარდა, იქ გაატარა ცხოვრების ულამაზესი წლები. ფიქრებით ხშირად გადაწვდება სოხუმს და ამ დროს თვალები უძირო სევდითა და ცრემლებით ევსება... აფხაზეთის მიწაზე ფეხის დადგმა მისი ყველაზე დიდი ოცნებაა. ღმერთმა აუხდინოს ეს ნატვრა". _ აღნიშნა მან.

თამაზ კოხრეიძემ და ვალიდა კაცაძემ სანიმუშოდ აღზარდეს სამი ვაჟი. შალვა, ნოდარ და თამაზ კოხრეიძეები მისათითებელ მოსწავლეებად ახსოვთ მშობლიურ მე-12 საჯარო სკოლაში. _ მეოთხე შვილიაო, _ სიყვარულით საუბრობს რძალ ანი გოგაშვილზე. არც პედაგოგ თამაზ ხაფავას მისამართით იშურებს სამადლობელ სიტყვებს: "თუ ჩემი ვაჟი წარმატებული კალათბურთელია, ამაში უდიდესია ბატონი თამაზის ღვაწლი."

ბებიაც გახლავთ ვალიდა მასწავლებელი. პატარა ელენე მისი უმთავრესი საფიქრალი და საზრუნავია. სწამს, შვილიშვილის თაობა უსათუოდ ნახავს "ზღვას, რომელიც შორია"!

ინტერვიუს სოხუმური ემოციით ვასრულებთ: "რამდენიმე ხნის წინ, მეზობელმა სახლის წინ დამტვრეული ქვები მოაფინა. ეზოში გავიარე თუ არა, ვუთხარი, მგონია, აფხაზეთში ზღვის სანაპიროზე დავდივარ-მეთქი. მენატრება! _ ამ სიტყვაში ვატევ ჩემს სოხუმს!"

მაესწავლებელთა დღეს ვულოცავ ჩემს უსაყვარლეს ბაშის საშუალო სკოლის პედაგოგებს

...და თუ სრულქმნილი ადამიანი არსებობს, მხოლოდ მასწავლებელია მათ შორის, ზნეკეთილი და ბრძენი, მოსიყვარულე და დამთმობი, ზომიერი და გაწონასწორებული.

ახლა, როცა ჩავლილ წლებს გავადევნებ თვალს, უპირველესად ჩემი მასწავლებლები მახსენდება. ადამიანობის საზომად ნებისმიერი მათგანი შემიძლია ავირჩიო, მათი შესაძლებლობისა და ღირსების გამო.

ლეგენდარული ჯგუფი, ბაშის საშუალო სკოლის 1985 წლის კურსთამთავრებულები, რომლებმაც სრული შემადგენლობით განაცხადეს სოფელ ბაშში დარჩენა და ჩამოაყალიბეს ახალგაზრდული ბრიგადა, მონაწილეობა მიიღეს ბაშის საბრძოლო დიდების მუზეუმის მშენებლობაში. ამ ჯგუფს მთელი საქართველო იცნობდა.

გავვოცდი, როცა ოცდაათი წელი გადავთვალე, ძალიან დიდი გზა გამივლია, თუმცა ისევ იქა ვარ, საიდანაც დავიწყე. ჩემი მეხსიერების რუკაზე მარად აღბეჭდილია ბაშის საშუალო სკოლის პედაგოგები, ჩემი ბავშვობისა და სიყმაწვილის წლების უკვდავი თანმდევი სულები, რომლებმაც ყველაფერი გაიღეს, უკლებლივ უშურველად...

ყოველი ადამიანის ცხოვრებაში დგება დრო, როცა აჯამებს ჩვეულ მიდრეკილებებს და უჩნდება განუზომელი სურვილი უკან მოხედვის. წარმოიდგინეთ, პირადად მე, მთელი არსებით მომინდა უკან დაბრუნება და ხელახლა განცდა პირველკლასელობის სრულფასოვნების, მოსწავლეობის... წარსულზე ფიქრში არის სიამე, არსებობის სრულფასოვნების უმძაფრესი განცდა და სწორედ ამ განცდამ დამაბრუნა თქვენთან, ბაშის საშუალო სკოლაში, თქვენი 1984-85 წლის 44-ე გამოშვების კურსდამთავრებული.

დედამიწის ზურგზე არ მეგულება ისეთი ადგილი, რომელიც ჩემს პატარა სოფელს დაჩრდილავს. არც ისეთი სკოლა მეგულება და არც ისეთი მასწავლებლები, ჩემს მასწავლებლებს რომ შევადარო. დიდი თაობების აღმზრდელი ბაშის საშუალო სკოლა მთელ საქართველოშია ცნობილი. მთელ სამტრედიის რაიონში ცნობილი ფრაზაა, "დიდი ინტელიგენცია ბაშიდან მოდის". მეცნიერების ყველა დარგის მუშაკი, ექიმი, პროფესორი, მათემატიკოსი, მსახიობი, სპორტსმენი, გენერალი, მასწავლებელი, პოეტი, მწერალი... შეუძლებელია არ დავასახელო მაღალი თანამდებობები, მინისტრი, პარლამენტარი, დირექტორი... ბაშის სკოლას რომ არ აღეზარდოს. საუკეთესო თაობების აღმზრდელი სკოლა ჩემთვის დღესაც მთავარ საყრდენსა და ფუძეს წარმოადგენს. მე თითქოს ხელახლა მივაგენი საწადელს, მივედი სათავესთან და აღმოვაჩინე, რომ ჩემი პედაგოგების გარეშე არასდროს მიცხოვრია.

სკოლაში პირველად ცაცანა (ელენე) მასწავლებელმა წამიყვანა, მისი ოჯახის სიყვარულით ავირჩიე ჩემი მომავალი პროფესია. ახლაც ლირიულად ჩამესმის ჩემი პირველი მასწავლებლის, ნათელა ნაცვლიშვილის ხმა. ცოდნის სამყაროში უზომოდ ნიჭიერი და განსწავლული პედაგოგები გამოგზაურებდნენ. ბევრი მათგანი დღეს გარდაცვლილია, მაგრამ ჩემი მეხსიერება გაჯერებულია მათი სახეებით. არასდროს გაცვდება, არასდროს გახუნდება თითოეული მათგანი. მე მუდამ მახსოვს ნათელა ნაცვლიშვილი, დოდო და ალიოშა კუჭუხიძეები, ცაცანა და ჟორა ნაფეტვარიძეები, ნებული ვაშაკიძე, მანია ნაცვლიშვილი, კაკო გერაძე, დიმიტრი ნაცვლიშვილი, გიგლა და ვასასი მეძმარიაშვილები, დონა კაშია, ნუცა გერაძე, ვერა თვალავაძე, ქსენია თვალავაძე, ლეგენდარული ლავრენტი თვალავაძე, სამტრედიის რაიონში ცნობილი დირექტორი ელეონორა ნაფეტვარიძე, გიორგი ბაშელეიშვილი, თამარ ბაშელეიშვილი, უსაყვარლესი დარეჯან ხარებავა, ულამაზესი ციური ცქიტიშვილი, ხანდაზმული ოლია ნაცვლიშვილი...

იცით, "სული მდევარი", "სული დამცველი", ასეთები არიან დღეს ჩემთვის ეს გარდაცვლილი პედაგოგები, სულის სიღრმეში ჩაკირულები, რომლებიც მუდამდღე ამზეურებდნენ ჩემს ფანტაზიას და თუ რამ სიფაქიზე შემომრჩა, ეს მათი დამსახურებაა, მათი დიდი სიყვარულის გადმონერგვაა.

ყოველი ხუთი ოქტომბერი ჩემთვის წმინდა დღეა, როცა მე და ჩემი მეუღლე ერთად ვშლით სასკოლო ალბომებს და მოსწავლეობის ხანაში ვმოგზაურობთ. თითქოს ერთმანეთს "ვჩაგრავთ" საკუთარი პედაგოგების ხოტბით, არა და ვიცით, პროფესიის არჩევაში ორივეს მასწავლებლების სიყვარულმა გვიწინამძღვრა.

სკოლის მერხიდანვე მესმოდა, რომ მასწავლებელი უნდა გავმხდარიყავი. არასდროს შემპარვია ეჭვი საკუთარ არჩევანში, რადგან ჩემი უსაყვარლესი პედაგოგები მამხნევებდნენ. ჩემში დღემდე ცოცხლობს მათი უნაკლო და უბადლო გაკვეთილები, მაღალი პროფესიონალიზმი, დახვეწილი მეტყველება და კლასიკური ჩაცმის მაღალი კულტურა. ჩემთვის დღემდე ეტალონია ამ მხრივ მთელი ბაშის სკოლის შემადგენლობა. დახვეწილი მეტყველება, სიარული, ტემბრი, ჟესტიკულაცია, ზომიერი ემოცია, აი, რა შვენოდა ჩემს მასწავლებლებს. საუკეთესოთა შორის ყველანი საუკეთესო, ჩემი უსაყვარლესი მაყვალა კაშმაძე, ციალა ჭაფოძე, შორენა კანდელაკი, ნონა ქიმუცაძე, თინათინ ნაცვლიშვილი, ევგენი დოლიძე, ანზორ ნაცვლიშვილი, ჯუმბერ ორმოცაძე, ვალერი ფახურიძე, რამაზ კაკაბაძე, დარეჯან ბარდაველიძე, ნაზი ყაველაშვილი, შოთა გერაძე, მარია არხიპოვა, ჟორა კეშელავა... შეუძლებელია არ მახსოვდეთ, ჩემო ძვირფასო პედაგოგებო, დახვეწილი, ხალასი, სადა, გულითადი ინტონაციებით, გასაგები და "მაღალი დონის" საუბრის მედროშე. თქვენს ნაკვალევზე მორცხვად ვბედავ გავლას და ვცდილობ, თქვენდარი შეუბღალავი ავტორიტეტი მქონდეს. თქვენ რომ ბაშიდან დამასაგზლეთ მარადიული სიყვარული საკუთარი საქმის, ჰოდა, უზომოდ მიყვარს ჩემი პროფესია და ვცდილობ ვსარგებლობდე თქვენდარი სიყვარულით, ვცდილობ, თქვენი გზით სვლას და ნამდვილი წარმატებების მოპოვებას.

თქვენ ჩემთან ერთად იცხოვრებთ კაცობისა და ზნეობის მაგალითად, სიკეთისა და სიყვარულის მაგალითად, სათნოებისა და გულწრფელობის მაგალითად, პატიოსნებისა და რუდუნების მაგალითად, თავშეკავებისა და თავმდაბლობის მაგალითად... თქვენ მარად ივლით იმის შეგნებით, რომ ყოველთვის შეინარჩუნებთ კაცთა მოდგმის გაადამიანების სურვილს...

მასწავლებელთა დღეს ვულოცავ ჩემი მშობლიური სკოლის ყველა პედაგოგს. ჩემს უსაყვარლეს ადამიანებს ბატონ ომარ გერაძესა და ნინო ბურჭულაძეს, მერი ნაცვლიშვილს, ჩემს მეგობრებს: მაია ჩიქოვანს, ლალი გერაძეს, მაია გერაძეს, ასმათ ბაშალეიშვილს, ლელა გერაძეს, ლელა ცქიტიშვილს, ნათელა ნაცვლიშვილს, ნონა ნიჟარაძეს, ციცინო ხაბალაშვილს და რა თქმა უნდა, ჩემს უძვირფასეს მოსწავლეებს, ამჟამად კი მასწავლებლებს ბელა ცქიტიშვილსა და ნატო თევდორაძეს.

სრული წინსვლით გევლოთ ახალი მესაჭის, ციცინო ხაბალაშვილის ხელმძღვანელობით, ჩემო საყვარელო და ძვირფასო მასწავლებლებო. პატიოსანი და ალალმართალი პროფესიული პათოსი მუდამ ტრიალებდეს თქვენს გარშემო, თქვენი შეუბღალავი სახელი მომავალი თაობების შინაგანი საყრდენი ყოფილიყოს მარადის...

თამარ რაზმაძე
უფროსი მასწავლებელი,
პოეტი
ბაშის საშუალო სკოლის
1984-85 წლის
კურსდამთავრებული

ამ ნიჭს მოფრთხილება უნდა

მუსიკის როლი "სამტრედიის მაცნეს" შექმნის საქმეში

მათთან, როგორც ღირსეულ მსახიობთან და ცნობილ სახესთან "სამტრედიის მაცნე" წინა ნომერში საუბრობდა. ჯემალ ღაღანიძე და ნიკა წულუკიძე ჩვენთან შინაური სტუმრები არიან. იმ საუბრის დასაწყისშიც აღვნიშნეთ და ახლაც გავიმეორებთ, რომ მათი სტუმრობის ძირითადი მიზეზი ახლად შექმნილი და უკვე წარმატებული ჯგუფის "ლადი" მონახულება გახლდათ.

შპს "სამტრედიის მაცნეს" დირექტორის არცთუ ისე დიდი კაბინეტი "ლადის" სამუშაო ოთახად უკვე იქცა. "სამტრედიის მაცნეს" დერეფანი კი ის ადგილია, ხმაურით რომ ავსებენ ახალგაზრდები. აქ ყოველდღიურად შეხვდებით მათ, სარეპეტიციოდ მოსულებს. სიხარული შემოაქვთ ყველა მოსვლაზე და საპასუხოდ ჩვენი ღიმილი და კეთილგანწყობა ხვდებათ. მერე კი იწყება, როგორც რედაქციაში ვხუმრობთ ხოლმე, მუსიკის როლი "სამტრედიის მაცნეს" შექმნის საქმეში! მას შემდეგ, რაც "ლადის" და "სამტრედიის მაცნეს" გზები გადაიკვეთა, ასე სიმღერ-სიმღერით სრულდება სამუშაო დღე. გვერწმუნეთ, ეს ძალიან სასიამოვნოა.

სიტყვა გაგვიგრძელდა, მაგრამ საქმე "ლადის" ეხება და ჩვენ წყნარად ყოფნა გვიჭირს, მით უმეტეს, როცა მას ესოდენ დიდი წარმატებები აქვს.

ნეტავ, გენახათ, ნეტავ, გენახათ, ჯემალ ღაღანიძე და ნიკა წულუკიძე როგორი აღფრთოვანებით უსმენდნენ ამ ახალგაზრდებს. მოეწონათ _ უბრალოდ ნათქვამია. ნიკა წულუკიძის მობილური ტელეფონი კი, ალბათ, ისევ ინახავს ვიდეოკადრს, პეტრე გრუზინსკის და დავით თორაძის "სამტრედიას" შესრულებისას გადაღებულს.

"მომეწონა? მომეწონა ძალიან! ვოკალურად ეს ბავშვები გამართულები არიან. ჩემი პროფესიული კუთხით პატარა შენიშვნა მივეცი, არტისტიზმი მეტი დოზით არ აწყენდათ. ძალიან კარგი ბავშვები არიან, არ უნდა დაიკარგონ და მჯერა, ასეც იქნება. თუ დავჭირდები ამ ახალგაზრდებს, მათ გვერდით მიგულონ." _ ამბობდა ჯემალ ღაღანიძე, რომლის მხრებზეც, რამაზ ჩხეიკაძესთან და კარლო საკანდელიძესთან ერთად იდგა რუსთაველის თეატრის მუსიკალური რეპერტუარი მაშინ, როცა თეატრს ოქროს ხანა ედგა.

"ამ ბავშვებს და ამ ნიჭს მოფრთხილება უნდა, იმიტომ, რომ ეს ყოველგვარი ხელშეწყობის გარეშე თვითნაბადი ნიჭია. არანაირი პროვინციალიზმი, არანაირი უგემოვნობა, დახვეწილი ბავშვები თავისუფლად ასრულებენ გათანამედროვებულ ქართულ ფოლკლორს. როგორ უკრავენ, მღერიან... თუკი სადმე დავჭირდი, მათთან ვარ, როგორც სამტრედიელი და გულშემატკივარი." _ ეს ნიკა წულუკიძის შეფასებაა. მან კიდევ ერთხელ შეგვახსენა: "ყველა სამტრედიელს ჩემიანად ვთვლი. ამიტომ, დედაქალაქში და ყველგან, სამტრედიის გარეთ, ეს ბავშვებიც ჩემიანები იქნებიან".

"ლადი" პროფესიონალებს მოსწონთ! ეს კი ბევრს ნიშნავს. ასე რომ, წინ შრომით მოსაპოვებელი წარმატებებია. დიახ, კარგად სიმღერასაც შრომა უნდა, თანაც როგორი! ახალგაზრდები "ლადიდან" ამისთვის მოწადინებულები არიან.

თეა გაბუნავილი

"სამეგრელოს მაცნე" 85

ჩვენს შორის რომ იყოს უეჭველად პირველი მოგვილოცავდა გაზეთის მოასლოებულ იუბილეს.

მერე რა, რომ არაერთხელ გავიხსენეთ, კაი ყმის დავიწყება შეუძლებელია და ჩვენც არ (ვერ) ვივიწყებთ კაცს, რომელსაც ვეცხოს უყვარდა მოყვასი თვისი.

სწამდა უფალი ბატონ ბადრი ტონიას, იცოდა ფასი მეგობრობისა, გულით მშობელი ქვეყნის მხურვალე სიყვარულს დაატარებდა, სიკეთეს თესდა და სიკეთესვე იმკიდა.

რომ არა სიცვდილი, კიდევ ბევრის გაკეთებას შეძლებდა, ხშირადაც შეგვეხმიანებოდა და მეთხველსაც ჩვეული შემართებით გაანებივრებდა მისეული დაუნჯებული ნაზრევით.

ამჯერად იმ ლექსებს ვთავაზობთ, ბატონმა ბადრი ტონიამ გარდაცვალებამდე რამდენიმე ხნით ადრე რომ დაწერა.

ლევან გაბეჩავა

***

თუმცა არ მომწონს
ჩემი ლექსები, _
არც მწვერვალი აქვს,
აღარც ფესვები,
მაგრამ მგოსნობას
მაინც ვიჩემებ,
ასე მაქვს ადრე
დანაკვესები.

***

ვიცი, ბევრჯერ ამაცილა
ხიფათსა და წამებას,
მიტომ მწამს და თაყვანსა ვცემ
ყოვლადწმიდა სამებას!

***

შეგვრჩენოდა წინაპართა ჩვენთა
სიყვარულის გრძნობა მათმიერი _
გვექნებოდა უძლეველი ძალა,
აღდგებოდა დაცემული ერი.
შერცხვებოდა მოძალადე მტერი,
ვიქნებოდით ყველა ბედნიერი.

***

საქმე ისე აგვიწყვეს, რომ
ვმღერით გიტარ-ჩონგურ-თარზე,
ყველაფერი სხვისი გვინდა,
აღარ ვფიქრობთ საკუთარზე.

***

ჩემო ქვეყანავ, გაყიდულო
ოცდაათ ვერცხლად,
შენგან გაცემულს
ვერავინ ნახავს,
ვერასდროს ვერსად!

***

არავინ იცის, ვის გადაურჩეს _
თათარს გაუსხლტეს, რუსი გააპობს,
ვერავინ გეტყვით, მღელვარე ზღვაში
ვინ დაინთქმება და ვინ გავა ფონს.

***

მესაფლავე ერთი ვიცი,
სამიც გამიგონია,
ჩემი ვთვალე, ვერ დავთვალე
ეს რამდენი მყოლია!

***

სადაური დიმიტრი ვარ,
ან სად მე და ილია,
ქვეყნად სამტრო, დასამარხი
მართლა გამოილია?

***

ადრეც მითქვამს,
ახლაც ვამბობ,
კვლავაც მთქმელი
ვარ ამისა _
რომ რუსია
შემოქმედი
ჩვენი სევდა-ვარამისა.

***

ყოჩაღ შენ, მგელო! _
მობარებული შეგინახია.
მე კაცს მივანდე და დავკარგე...
_ ჩემზე ახია.



***

საფლავი ჩემი მინდვრის ყვავილთა
ფერადოვნებით დაიფარება,
მერე თანდათან სურო დაფარავს,
მივიწყდება და დაიკარგება.

***

მე გავლეწე ჩემი კალო,
მოვიწიე ჩემი ყანა,
მადლობა ღმერთს,
რომ აქამდე
მაცოცხლა და მომიყვანა.

კამოხმაურება წერილზე "მოსახლეობამ ამ ჩხუბერაზე თითქმის არაფერი იცის"

მიმდინარე წლის სექტემბრის დასაწყისში ჩვენს გაზეთში გამოქვეყნდა წერილი სამტრედიაში წყალგაყვანილობისა და კანალიზაციის მოწესრიგების თაობაზე, რაც ძალზე მნიშვნელოვანია. მით უმეტეს, საკითხს აშუქებს რაიონის ყოფილი თავკაცი, ბატონი თამაზ მიქაძე.

წერილში ქრონოლოგიურად, მთელი სიზუსტითაა გაანალიზებული საკითხი თანმდევი სირთულეებით და რა შეიძლება მოხდეს, თუ პრობლემას დროულად არ მიექცევა ყურადღება.

მოსახლეობამ მინდა იცოდეს, რომ აღნიშნულ პრობლემაზე ჯერ კიდევ 2011 წელს მივმართე რაიონის წყალმომარაგების ხელმძღვანელს, მაგრამ რაოდენ დასანანიც არ უნდა იყოს, ვერანაირი შედეგი ვერ გამოვიტანე. ამიტომ იძულებული გავხდი, მიმემართა ქალაქის ტერიტორიული ორგანოს მაშინდელი რწმუნებულისთვის, ბატონი, ვასო ბოკელავაძისათვის. მისი მხრიდან, მიუხედავად არაერთი დაპირებისა, საკითხი ღიად დარჩა და იმით დასრულდა, რომ ის სხვა სამსახურში გადაიყვანეს.

ქალაქის ტერიტორიული ორგანოს რწმუნებულად დაინიშნა ახალგაზრდა კადრი, სათანადო პროფესიული გამოცდილებით, ყოფილი ჩემი კოლეგის შვილი ბატონი კახა გოგია. იმედის გრძნობა ჩამესახა, განცხადებით მივმართე და ერთი თვის მანძილზე დაველოდე, ვიდრე სამსახურის საკითხებში მთლიანად გაცნობიერდებოდა. გარკვეული დროის შემდეგ პირადად ვეახლე და შექმნილ პრობლემებზე ვისაუბრეთ.

საკითხის სირთულიდან გამომდინარე, მიიჩნია, ჩვენი წერილი მისივე თანდართული წერილით გადაეგზავნა გამგეობაში. წერილი დაეწერა გამგებლის მოადგილეს, ბატონ ავთო თადუმაძეს. ბატონმა ავთომ აღნიშნა, რომ საკითხი მზადდება სამთავრობო დონეზე დასასმელად, რაც ლოგიკურად სწორად მივიჩნიე.

რაოდენ დიდი იყო გაოცება, როდესაც გამგეობიდან მოვიდა პასუხი, რომ ქალაქის ტერიტორიული ორგანოს რწმუნებულიდან შემოსული წერილი, თანდართული მასალით, რეგირებისათვის გადაეგზავნა წყალმომარაგების ხელმძღვანელს, რაც არანაირი შედეგის მომტანი იყო. ნიშანდობლივია ის, რომ იმხანად ბატონ ავთო თადუმაძეს დაევალა გამგებლის მოვალეობის შესრულება. ვიფიქრე, ამჟამად მას მეტი უფლებამოსილება გააჩნდა-თქო და წერილი პრობლემურ საკითხზე პირადად მას ვაახლე, იმ იმედით, რომ სწორ მოსაზრებას მოვისმენდი. ნაცვლად ამისა, მივიღე წერილობითი პასუხი, რომ სამტრედიის წყალმომარაგების სერვისცენტრი არ გახლავს სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამგეობის ქვემდებარე და უნდა მიმართოთ საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმის და ქვემო სვანეთის რეგიონალურ ფილიალს ქალაქ წყალტუბოში, რათა კომისიურად იქნას შესწავლილი აღნიშნული პრობლემა.

პარადოქსი არ არის, რაიონის ხელმძღვანელი თავისივე წერილში პრობლემას აღიარებს და იმავდროულად პასუხისმგებლობას გაურბის. უპრიანი იქნებოდა, პრობლემა სამთავრობო დონეზე თვითონ დაესვა.

ყოველივეზე იმიტომ ვამახვილებ ყურადღებას, რადგანაც ზუგდიდის, მარტვილის, ქუთაისის ხელმძღვანელების ძალისხმევამ შედეგი გამოიღო და მთავრობამ პრობლემის მოსაგვარებლად მათთვის ფინანსები გამოჰყო. ჩვენს ქალაქში სამი გადამქაჩი სადგურიდან მხოლოდ ერთი მუშაობს და ისიც საველალო მდგომარეობაშია.

დასანანია ისიც, რომ ახლად მოასფალტებული ქუჩები ისევ ასაყრელი გახდება, რადგანაც მიწისქვეშა კომუნიკაციები ძალზე მოძველებული და ამორტიზებულია. მოასფალტებაზე დახარჯული თანხა კი უყაირათოდ დახარჯულად ჩაითვლება. გვაქვს კი უფლება, შეჭირვებული მოსახლეობის ბიუჯეტის სახსრები უყაირათოდ ვხარჯოთ? პრობლემის მოგვარების ძიებაში დამეხადა მოსაზრება, საკითხი დამესვა საზოგადოება "სამტრედიელის" გამგეობის სხდომაზე, რომლის ერთ-ერთი დამფუძნებელი ვარ. ვიფიქრე, დახმარებისთვის, საზოგადოების სახელით მიგვემართა, რაიონის მაჟორიტარი დეპუტატისათვის, ბატონ გიორგი კახიანისათვის და ვიცე-პრემიერ კახი კალაძისათვის. თვითკრიტიკით მინდა აღვნიშნო, რომ შედეგს ვერ მივაღწიე.

ბატონო თამაზ, წავიკითხეთ რა, გაზეთში გამოქვეყნებული წერილი, გულს იმედი ჩაგვესახა. უსაზღვროა მოლოდინი, ჩვენს ძალისხმევას რომელი ხელმძღვანელი გაითავისებს და შედეგიც დადგება.

დაბოლოს, სასურველია, რედაქციამ გაზეთის ფურცელზე შემოიღოს რუბრიკა იმ საჭირბოროტო საკითხზე, რომელიც გაზეთში დაიბეჭდება "საკითხის შესწავლის მიმდინარეობის და რეაგირების მიზნით" თორემ რა გამოდის, "შეაყარე კედელს ცერცვი", წერე და იკითხე!

სინანულით, იმედით!

ბია გოჩარიშვილი

ფრანგული შანსონების ახალი კრებული

"სამტრედიის მაცნე" იყო გაზეთი, რომლის ფურცლებზეც სკოლის მოსწავლე ბაჩუკი ჩაბრაძემ პოეტური ნათლობა მიიღო. მისი პოეტური ენერგია მოსწავლეობისას ვულკანივით ამოიფრქვა. დღეს უკვე მეცნიერი ბაჩუკი ჩაბრაძე საფრანგეთში ცხოვრობს და მრავალმხრივ მოღვაწეობას ეწევა. "სამტრედიის მაცნე" კი მის ყოველ შემოქმედებით მიღწევას ეხმიანება.

ცოტა ხნის წინ ჩვენს მკითხველს ვაუწყეთ, რომ მალე იხილავდა ბაჩანა ჩაბრაძის ახალ წიგნს, რომელშიც შეტანილი იქნებოდა გასული საუკუნის საფრანგეთის 60-იანი წლების პოეტთა ლექსების თარგმანები. ესენი არიან ავტორები, რომლებმაც განსაზღვრეს ფრანგული კულტურული რევოლუციის მიმართულება: ჟორჟ ბრასენსი, სერჟ გენსბური, ბორის ვიანი, ლეო ფერე, ჟაკ ბრელი და ა. შ.

სულ ახლახან გამომცემლობა "ინტელექტმა" გამოსცა ბაჩანა ჩაბრაძის თარგმანების კრებული სახელწოდებით "ფრანგული შანსონი".

გამომცემლობის წინასიტყვაობაში ვკითხულობთ:

"ომის შემდგომ პარიზში ფრანგული სიმღერა ახალ ფრთას ისხამს. დგება ავტორ-კომპოზიტორ-შემსრულებელთა ხანა. ხალხი აწყდება სენის მარცხენა სანაპიროს. კაბარეებს, სადაც შანსონები გამომწვევ და "მიუღებელ" სიმღერებს ასრულებენ. ეს მომღერლები, უპირველეს ყოვლისა, პოეტები არიან, უპირატესობას ანიჭებენ ტექსტს და ზღვარს შლიან პოეზიასა და სიმღერას შორის. სწორედ ამ დროს ვხედავთ ჟორჟ ბრასენსის ნიჭის სრულ გამოვლინებას, ლეო ფერეს ლირიკული ექსპრესიის მწვერვალს, ჟაკ ბრელის ხელოვნების "კრეშენდოს", სერჟ გენსბურის ექსტრავაგანტური ფენომენის დაბადებას და ბორის ვიანის შემოქმედების აპოგეას. მათ შექმნეს ფრანგული სასიმღერო ტექსტის ახალი ერა. ისინი დღემდე შთააგონებენ თაობებს. წინამდებარე წიგნი ამ ავტორთა შანსონების თარგმანების კრებულია".

თავად პოეტი და მთარგმნელი კრებულის შესახებ გვესაუბრება:

"წარმოდგენილი თარგმანები ფრანგული შანსონისადმი ჩემი ხანგრძლივი სიყვარულის ნაყოფია, ძალიან მინდოდა, ეს გრძნობა ქართველი მკითხველისათვის გამეზიარებინა და მომესმინა ჩვენს ენაზე აჟღერებული ბრასენსი, ფერე, ბრელი, გენსბური და ვიანი.

მათი სიმღერების მელოდიებს კარგად იცნობს ქართველი არაფრანკოფონი მსმენელი, თუმცა ტექსტები მხოლოდ უცხოენოვან თარგმანებში იყო მისთვის ხელმისაწვდომი, ანუ დღემდე უცნობად რჩებოდა. ფრანგული შანსონი კი, ტექსტს განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს. მე ისინი ვთარგმნე დედნების მეტრულ-რიტმული სტრუქტურის დაცვით, ვინაიდან პროექტის შემდეგი ეტაპი ამ კომპოზიციების ქართულად შესრულებას და ჩაწერას ითვალისწინებს".

ვრცელ წინასიტყვაობაში, მთარგმნელი შანსონის ამ გრანდების ცხოვრებისა და შემოქმედების მნიშვნელოვან დეტალებს მიმოიხილავს და ციტირებს ჟაკ ბრელის 1966 წლის ინტერვიუს, რომელშიც ივი თბილისში თავის ვიზიტს იხსენებს. წიგნი ასევე მოიცავს ბიბლიოგრაფიასა და ილუსტრაციას, მათ შორის ჟაპ ლეტუალის ცნობილ ფოტოს "ბრელი, ფერე, ბრასენსი"...

ბაჩანა ჩაბრაძე ასევე მადლობას უხდის წარმოდგენილი ავტორების მემკვიდრეებს და საფრანგეთის ავტორთა საზოგადოებას რეპროდუქციის უფლებების მოპოვების ხანგრძლივ პროცესში ავტორის მიმართ გამოჩენილი მხარდაჭერისათვის, ისევე, როგორც გამომცემლობებს _ უფლებების მონიჭებისათვის".

ნათია ნაცვლიშვილი

მამუკა რუხაძის მონატრება

5 ოქტომბერს სამი წელი სრულდება, რაც ჩვენთან აღარ ხარ, შვილო, მაგრამ შენი სახელი უკვდავია მანამ, სანამ მომგონებელი გეყოლება ამ ქვეყნად. მამუ სიყვარული და მეგობრობაც უსაზღვრო იცოდი. მართლაც, შენნაირ ვაჟკაცზეა ნათქვამი, რომ "ათას ცოცხალსა ბევრჯერა, ასჯერ სჯობს ერთი მკვდარი"-ო. შენი ოჯახი, შენი სანათესავო, შენი შვილები ვამაყობთ შენით. შენს შვილებს ყველა შენი სახელით ეფერება, ესენი ჩვენი მამუკას ვაჟკაცები არიანო.

შენი მეუღლე ირმა ისე ცხოვრობს და შვილებსაც ისეთნაირად ზრდის, როგორც შენ გსურდა. ჩვენ, ყველა, იმედის თვალით შევყურებთ საქართველოს ზეციურ სამყაროს, საიდანაც შენ თვალს გვადევნებ და საჭიროების დროს გვიწვდი დახმარების ხელს. იძინე მშვიდად, ჩემო მარჯვენადაუღლელო ვაჟკაცო.

შენი დედა იზა ნაცუხაძე-რუხაძე

მეგობრები: მაყვალა ჩირგაძე, ფატი კოპალეიშვილი, მზია სულაქველიძე, ნინო გამზარდია დიდი მწუხარებით თანაუგრძნობენ მაია თავაძეს მამის, ბატონი

გივის

გარდაცვალების გამო.

განცხადება

შპს "საგზაო მშენებლობა ალტკომის" ფილიალი საქართველოში (ს/კ 405026172) ხელშეკრულების საფუძველზე ახორციელებს E-60 ავტომაგისტრალის სამტრედია-ზრიგოლეთის მონაკვეთის მშენებლობის სამუშაოებს. კომპანიის მიერ უცხოეთიდან ფოთის პორტში შემოტანილი იქნა მშენებლობისათვის აუცილებელი ლაბორატორიული მოწყობილობა, ამასთან, მიღებული იქნა აღნიშნული ტვირთის მოწოდებასთან დაკავშირებული სრული დოკუმენტების პაკეტი, მათ შორის **კონოსამენტი №ZIMUGOA351253 დათარიღებული 26. 07. 2015 წ.** ზემოთ მითითებული დოკუმენტები კომპანიის თანამშრომლის მიერ დაკარგული იქნა გაურკვეველ ვითარებაში. ამ დოკუმენტების გარეშე კი შეუძლებელია ჩვენი კუთვნილი ტვირთის მიერ საბაჟო პროცედურების გავლა და მიღება. რაც, თავის მხრივ, აუცილებელია კომპანიისათვის სამშენებლო სამუშაოების საწარმოებლად.

აღნიშნული დოკუმენტების მპოვნელი დასაჩუქრდება სოლიდური თანხით.

დოკუმენტების პოვნის შემთხვევაში მპოვნელს ვთხოვთ წარმოადგინოს ისინი გაზეთ "სამტრედიის მაცნეს" რედაქციაში ან შპს "საგზაო მშენებლობა ალტკომის" ფილიალი საქართველოში ცენტრალურ ოფისში. ჩვენი მისამართია: ქ. სამტრედია, რესპუბლიკის ქ. №8 ან დაგვიკავშირდით ტელეფონებზე: 568 93-74-74; 592 33-30-11; 597 47-48-00.

შპს "საგზაო მშენებლობა ალტკომის" ფილიალი საქართველოში

დირექტორი ალექსანდრე ვალუეკინი

გიორგი მახარაშვილი:
გლეხების გაწამწიას,
სიმწრისგან ვერ გაგუძელი,
მუც გასაყიდად გამომაქვს
ფასდაკარგნილი ყურძენი!

ბავშვობა

ვულოცავთ!

ხონი-სამტრედიის ეპარქიის მმართველს, მიტროპოლიტ მეუფე საბას!

თქვენო მაღალყოვლადუსამღვდელოესობავ, ქრისტესმიერი სიყვარულითა და პატივისცემით გილოცავთ დაბადების დღეს.

იხარეთ და იდღეგრძელეთ.

უფალმა გაგაძლიეროთ!

"სამტრედიის მაცნე"

ბატონ ოთარ ჩრდილელს!

დაბადების დღეს გილოცავთ, უფალმა დაგლოცოთ, წარმატებებს გისურვებთ პირად ცხოვრებასა და საზოგადოებრივ საქმიანობაში.

"სამტრედიის მაცნე"

ბატონ შალვა არჩუმანიანს!

გილოცავთ დაბადების დღეს, იხარეთ და იდღეგრძელეთ.

გფარავდეთ ღმერთი!

"სამტრედიის მაცნე"

თამილა ნიკურაძეს!

ჩვენო გაზაფხულივით მშვენიერო, ზაფხულივით ცხელი, მზგნებარე სიყვარულით გულანთებულო, შემოდგომასავით მდიდარი სულის მქონევ, ზამთარივით მიუკარებელო ადამიანო, მეგობარო, შვილო, დედმამიშვილო, ნათესავო, თანამშრომელო და ქართველო, გილოცავთ დაბადების დღეს. უშრეტი ენერგია კვლავ ჩვენს, შენი ახლობლების სიყვარულსა და ურთიერთობაში დაგეხარჯოს, ბედნიერებას გისურვებთ, პირად და საზოგადოებრივ საქმიანობაში.

მეგობრები



მაკა ხაბეიშვილს!

ჩვენო საყვარელო მაკა, ძალიან დიდი სიყვარულით გილოცავთ დაბადების დღეს! გისურვებთ ულევ ბედნიერებას, სიხარულს და წარმატებას. გვიყვარხარ და გვეიმედები.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტები: თეონა გელანტია, მარიამ ჭეიშვილი



მარი წიქვაძეს!

დაბადების დღეს გილოცავთ, ჩვენო მარი, სასახელო გოგო გაიზარდე. ღმერთმა დაგლოცოს.

სიყვარულით:
ნაზიკო, გულიკო, ირა ბებიები ოზასებით

რედაქციის მისამართი:
სამტრედია, რესპუბლიკის ქ. №6
ტელ: 790 391839

მაცნე სამტრედიის

დირექტორი ბექან გოგია

მთავარი რედაქტორი ქეთევან ჭელიძე

გამომშვები რედაქტორი თეა ბაბუნაშვილი

პასუხისმგებელი მდივანი ლევან გაბეჩავა

კომპიუტერული უზრუნველყოფა მაკა პაპავა